# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№78 (9909) 2025 წლის 6 ივნისი, პარასკევი


## მოპარული ლოზუნგით – „დარჩი სახლში“ – წინასწარ წაგებული არჩევნები!!

იხ. 3 გვ.



**გიორგი ზურაბიშვილი:**

ოპოზიციისთვის ბოიკოტის მთავარი რისკი და შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მმართველი პარტია შეძლებს, მობილიზებულ ელექტორატზე დაყრდნობით, მოიპოვოს აბსოლუტური კონტროლი ადგილობრივ თვით-მმართველობებზე

## ბოიკოტი ბუმერანგის ეფექტით

**ირაკლი კობახიძე:**

## ოპოზიცია ტრაგიკულ მდგომარეობაშია!



„ოპოზიციის წარმომადგენლები დადიან ინსტრუქციების მისაღებად, საკუთარი აზრიც არ აქვთ, პირდაპირ არის ჩვეულებრივი აგენტურა, დადიან სხვადასხვა უცხოურ ოფისში ინსტრუქციების, დავალებების მისაღებად და მერე ასრულებენ ამ დავალებებს.

თუმცა კარგი ის არის, რომ ამ დავალებების შედეგად საბოლოო ჯამში ნადგურდება ისევ ოპოზიცია, გარედან რთულია პულსზე ხელის დაჭერა და პულსის შეგრძნების ქონა, აქედან გამომდინარე, გარედან ისინი იღებენ ხოლმე ისეთ დავალებებს, რომლებიც ისევ და ისევ ოპოზიციის განადგურებას იწვევს“, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

მისი თქმით **„არავითარი კრიზისი არ არსებობს, კრიზისი არის მხოლოდ ოპოზიციაში. ოპოზიციაში არის უმძიმესი, ტრაგიკული მდგომარეობა, ეს არის თუ რაიმეს შეიძლება, ეწოდოს კრიზისი“!**



**შალვა პაპუაშვილი:**

ზოგიერთი ჯგუფი თუ პოლიტიკოსი უკვე ძალიან შეეგუა, რომ ქართველებს ჭკუა ასწავლოს, რა არის ღირებული და რა არ არის ღირებული...

2

## ნაცისტური განათლების რეფორმა

**ავთანდილ არაბული:**

სამი ინსტიტუცია იყო მაშინ მათი შეტევის უმთავრესი საგანი, ეს არის ბურჯი ჩვენი სახელმწიფოებრიობისა – ჩვენი სამოციქულო ეკლესია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია.

**ლია მელიქიშვილი:**

ჩვენი ინსტიტუტიდან საკმაოდ მაღალი დონის მეცნიერები როდესაც გაათავისუფლეს, ერთმანეთის მიყოლებით ყველა გარდაიცვალა, ვერ ვასწრებდით პანაშვიდზე მისვლას.

**გიორგი გოგოლაშვილი:**

გაუქმდა პარლამენტში არსებული ქართული ენის ქვეკომიტეტი, უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლება, დაიხურა ყველა სატელევიზიო პროგრამა: „ჩვენი ენა ქართული“, „ენაი შემკული და კურთხეული“ და ასე შემდეგ. დაიხურა ყველა ჟურნალ-გაზეთი.

ამონარიდები პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის 4 ივნისის სხდომიდან

5

თბილისის RFSD მდგრადი განვითარების რეგიონული ფორუმი

## მშვიდობამ მოგვცა საშუალება, მაქსიმალურად გვეზრუნა ქვეყანაში რეგიონების თანაბარ განვითარებაზე!

2

მესამედი საუკუნის წინ ჩადებული ნაღმი...

## ქერინგტონები ჩვენს ოჯახში



6

## უკრაინა აჩვენებს, რომ მას ჯერ კიდევ შეუძლია ომის სცენარის შეცვლა

8



## ჯემალ დავლიანიძე წარმოგვიდგენს „მწარე გაკვეთილებს“

7

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE






## ირაკლი კობახიძე:

# მშვიდობამ მოგვცა საშუალება, მაქსიმალურად გვეზრუნა ქვეყანაში რეგიონების თანაბარ განვითარებაზე!

**„წლევანდელი თემა, მშვიდობა და მშვიდობის როლი კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.**

ამ ღონისძიების ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება რეგიონების განვითარებაზე. აქაც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობას. სწორედ მშვიდობამ მოგვცა ჩვენ იმის საშუალება, რომ მაქსიმალურად გვეზრუნა ჩვენს ქვეყანაში რეგიონების თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. გვაქვს ძალიან დიდი, განსაკუთრებული წინსვლა ბოლო წლების განმავლობაში სწორედ რეგიონების განვითარების თვალსაზრისით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ კონფერენციას ესწრებიან ჩვენი მეზობელი ქვეყნების ქალაქების წარმომადგენლები, 40-მდე ადგილობრივი მერი, საკრებულოს თავმჯდომარე. ჩვენთვის სწორედ რეგიონულ ჭრილში ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყანასთან, განსაკუთრებით, ჩვენი რეგიონის ქვეყნებთან.

ასევე ძალიან მოხარული ვართ, რომ ამ ღონისძიებას ესწრებიან ძალიან მაღალი რანგის სპეციალისტები, ექსპერტები, რომლებიც ამ ორი დღის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებენ საინტერესო დისკუსიებში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ღონისძიება იქნება საინტერესო თითოეული თქვენგანისთვის. ყველას გისურვებთ ნაყოფიერ დისკუსიებს და წარმატებებს.

* * *

**„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩვენი ქვეყნისთვის და მოხარულები ვართ, რომ მეთოთხმეტედ ვმასპინძლობთ ამ ღონისძიებაზე ძალიან მაღალი რანგის სტუმრებს.**

წლევანდელი კონფერენციის თემაც არის უკიდურესად მნიშვნელოვანი – ეს არის მშვიდობის როლი ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის და, ზოგადად, მსოფლიოს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც გასული 35 წლის განმავლობაში გამოიარა ოთხი სხვადასხვა ომი. აქედან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანას ყველაზე კარგად ესმის მშვიდობის ფასი. ყველაფერს ვაკეთებთ, რათა განვამტკიცოთ მშვიდობა ჩვენს ქვეყანაში და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ეს საკმაოდ კარგად გამოგვდის. მიუხედავად იმისა, რომ გასული რამდენიმე წლის განმავლობაში იყო ძალიან დიდი ზეწოლა ჩვენს ქვეყანაზე, მოვახერხეთ საქართველოში მშვიდობის შენარჩუნება.

* * *

**„დღევანდელი სამყარო არის ძალიან დიდი გამოწვევებით სავსე, როდესაც საქმე ეხება კონკრეტულად მშვიდობას – ჩვენ გვაქვს ფართო რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტი, მასშტაბური ომი, ჩვენ გარშემო, სამწუხაროდ, არის არაერთი ომი და ასეთ ვითარებაში საჭიროა, ვისაუბროთ მშვიდობის მნიშვნელობაზე.**

ძალიან დიდია ამ ყველაფერში ზესახელმწიფოების როლი, როცა ვსაუბრობთ მსოფლიო მასშტაბით, გლობალურად მშვიდობის განმტკიცებაზე. დღევანდელ კონფერენციას მიმართავს საქართველოში ჩინეთის ელჩი და ვფიქრობ, ჩინეთი არის სწორედ ის ზესახელმწიფო, რომელსაც უნდა მიბაძოს ყველამ. გასული 45 წლის განმავლობაში, ჩინეთი იყო ზუსტად ის ზესახელმწიფო, რომელსაც არცერთ ომში არ მიუღია მონაწილეობა და თავიდან ბოლომდე იყო ორიენტირებული პროგრესზე, მოდერნიზაციაზე, ეკონომიკის განვითარებაზე და შედეგებიც, ვფიქრობ, სახეზეა. განსაკუთრებით უნდა დავაფასოთ ამ სახელმწიფოს როლი არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიო მასშტაბით მეტი მშვიდობის უზრუნველყოფაში.

ძალიან დამაიმედებელია აშშ-ის ახალი პრეზიდენტის გზავნილები ამ თვალსაზრისით, რომელიც ხაზს უსვამს მშვიდობის მნიშვნელობას და იმედი მაქვს, ახალი ადმინისტრაციის პირობებში, პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, უფრო მეტად იქნება მსოფლიოს მასშტაბით წახალისებული მშვიდობა. ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის ყველა იმ სახელმწიფოსთან, მათ შორის ყველა იმ ზესახელმწიფოსთან, რომელიც ორიენტირებულია მშვიდობაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე და მეტი კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე საკუთარი ხალხებისთვის..

* * *

**ჩვენ გვეგონა, რომ 35 წლის წინ თავი დავაღწიეთ საბჭოურ მიდგომებს, თუმცა ვხედავთ, რომ ეს მიდგომები არის კვლავ ძალაში და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ხშირად ვხედავთ ხოლმე ასეთ მიდგომებს დასავლეთის მიმართულებიდან. იმედია, ეს შეიცვლება.**

ეს სჭირდება პირველ რიგში ევროპას, ქართულ-ევროპული ურთიერთობების გაჯანსაღებას. ჩვენი მიზანი არის ასახული საქართველოს კონსტიტუციაში. ჩვენი მიზანია, რომ 2030 წლისთვის ქვეყანა გახდეს ევროკავშირის წევრი, რაც სავსებით შესაძლებელია, თუ იქნება სამართლიანი მიდგომა. 2030 წელს საქართველოს ყველაზე მეტად იქნება მზად ევროკავშირში გასაწევრიანებლად. იმედია, გაჯანსაღდება მიდგომები ევროკავშირში, ასეთ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ გაჯანსაღდება ურთიერთობები ჩვენს ქვეყანასა და ევროკავშირს შორის.




**დროა, ყველას შევახსენოთ, ქართველ ხალხს ყველა გამოცდა საკმარისად აქვს ჩაბარებული**

# ზოგიერთი ჯგუფი თუ პოლიტიკოსი უკვე ძალიან შეეგუა, რომ ქართველებს ჭკუა ასწავლოს, რა არის ღირებული და რა არ არის ღირებული...

**ვფიქრობ, დროა, ყველას შევახსენოთ, რომ აქ არავინ არის სკოლის მოწაფე, გამოცდები არავის აქვს ჩასაბარებელი. ქართველ ხალხს საკმარისად აქვს თავისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისთვის ყველანაირი გამოცდა ჩაბარებული.**

ამიტომ შევახსენებ ყველას ევროპაში, მათ შორის ზოგიერთ ევროკომისარს, თუ რაიმე არის ევროპული ღირებულება და წესი, ეს არის კრიტიკის მოსმენა, ატანა და პასუხი. ჩვენ რასაც ვხედავთ, არის, რომ კრიტიკას ხშირად ხვდებიან გაბუტული პოზით, თითქოს ეს არის თავდასხმა, შეურაცხყოფა და ა.შ. ეს ჩვეულებრივი მეთოდია, რომ თავიდან აირიდონ კრიტიკა და გაღმა შედავებით გაბუტულ პოზაში ჩადგნენ, ანტიევროპული უწოდონ რაღაც საკითხებს.

მარტივია, მიიღონ კრიტიკა, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვსაუბრობთ ყოველთვის კონკრეტული ფაქტებით, როდესაც, მაგალითად, ევროკავშირის ბიუჯეტიდან ფინანსდება ექსტრემისტული ჯგუფები, ფინანსდება პროპაგანდა, ყველა ამ საკითხზე გვაქვს მტკიცებულება და ფაქტი, ამიტომ ნება იბოძონ და უპასუხონ ყველაფერს!..

**საქართველოში აკრედიტებული ელჩები ჩართული არიან შიდა პოლიტიკაში ვენის კონვენციის დარღვევით...**

**როგორც ჩანს, კიდევ შეხსენებაა საჭირო, რომ ვენის კონვენციის 41-ე მუხლი დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ, მოიცავს ორ საკითხს.**

პირველი არის ადგილსამყოფელ ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატების იმუნიტეტი და პრივილეგიები. მათ აქვთ სამართლებრივი იმუნიტეტი, საგადასახადო პრივილეგიები, განსაკუთრებული სტატუსი აქვს ყველა ელჩს, ჩვენს ელჩებს სხვა ქვეყანაში და სხვა ქვეყნის დიპლომატებს ჩვენთან. იმავე მუხლში წერია, რომ ამის საპირწონედ, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატებს ეკრძალებათ ქვეყნის საშინაო საკითხებში ჩარევა. ეს არის ანი და ჰოე დიპლომატიური ეტიკეტისა და



# ბოიკოტი ბუმერანგის ეფექტით



**4 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, ოპოზიციის ნაწილი ბოიკოტს აცხადებს და მოქალაქეებს უბნებზე არმისვლისკენ მოუწოდებს. კამპანია „დარჩი სახლში“, რომელსაც მხარს უჭერენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და კოალიცია „ცვლილებებისთვის“, მმართველ პარტიას, შესაძლოა, ძალაუფლების კონსოლიდაციაში დაეხმაროს.**



## მოპარული ლოზუნგით — „დარჩი სახლში“ – წინასწარ წაგებული არჩევნები!!

**ადგილობრივი არჩევნების ბოიკოტი წინასწარ წაგებულ თამაშად იქცა ქართულ პოლიტიკაში. ერთი მხრივ, თუ ის სისტემასთან პროტესტის გამოხატვის საშუალებაა, მეორე მხრივ, ოპოზიციის ამ გაუთვლელმა ნაბიჯმა, შესაძლოა, დაუგეგმავი დივიდენდები მოუტანოს მმართველ პარტიას. საბოლოოდ, ამ სტრატეგიის შედეგები ოქტომბრის შემდეგ უფრო ცხადი გახდება, თუმცა ახლა უკვე ჩანს, რომ ოპოზიციური ერთობის ჩამოშლამ და ტაქტიკურმა უთანხმოებამ შესაძლოა თვითონ ოპოზიციის პოზიციები კიდევ უფრო დაასუსტოს.**

ენმ-ის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე **ლევან ხაბეიშვილი** ამტკიცებს, რომ ბოიკოტი ერთადერთი გზაა, რაც ხელისუფლებას ლეგიტიმაციას წაართმევს: **„ჩვენი მიზანია, არჩევნები არ შედგეს. თუ არჩევნებზე მილიონზე ნაკლები ამომრჩეველი მივა, ეს იქნება პირდაპირი პასუხი რეჟიმს. ხალხს არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ ამ პროცესში მათი ხმა დაითვლება“,** — ამბობს ის.

კამპანიას უერთდება კოალიცია „ცვლილებებისთვის“, რომლის ერთ-ერთი ლიდერის თქმით, „ქართული ოცნება“ გეგმავს არჩევნების შედეგების გაყალბებას და ამ ფარსში მონაწილეობას არ მიიღებენ.

შესაძლებელია კი არჩევნების ჩაშლა? კონსტიტუციონალისტების და იურისტების თქმით, კანონმდებლობით არჩევნები ლეგიტიმურია, თუნდაც მხოლოდ ორი ამომრჩეველი მივიდეს უბანზე. შესაბამისად, ბოიკოტს, სამართლებრივი თვალსაზრისით, შედეგი არ აქვს.

როგორც იურისტი **გიორგი ზურაბიშვილი** for.ge-თან განმარტავს: **„დასწრების ბარიერი არ არსებობს — მთავარია, პროცედურები დაცული იყოს. ბოიკოტს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პროცედურულად ვერ გააჩერებს პროცესს. ხოლო ოპოზიციისთვის ბოიკოტის მთავარი რისკი და შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მმართველი პარტია შეძლებს, მობილიზებულ ელექტორატზე დაყრდნობით, მოიპოვოს აბსოლუტური კონტროლი ადგილობრივ თვითმმართველობებზე. თუ ოპოზიცია არ მონაწილეობს და „ოცნებას“ საკუთარ ამომრჩეველი ორგანიზებულად მიჰყავს, ისინი ყველა საკრებულოს მოიგებენ. ოპოზიციის სტრატეგია კარგავს პრაგმატულობას“.**

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი მოკავშირეებისგან განსხვავებით, სხვა ოპოზიციური პარტიები ბოიკოტს არ ეთანხმებიან. პარტია „გახარია საქართველოსთვის“ აცხადებს, რომ „მონაწილეობა ყველა შემდგომ არჩევნებში მათი სტრატეგიაა“.

ამავე გზას ადგას კოალიცია „ძლიერი საქართველო“, რომლის წარმომადგენელთა თქმით, პოლიტიკური ძალა „ყოველთვის მზად უნდა იყოს არჩევნებისთვის“.

მმართველ პარტიაში ოპოზიციის სტრატეგიას არაადეკვატურად და თვითდაზიანებად მიიჩნევენ. პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი** აცხადებს:

**„ვისთვისაა კარგი, როცა ოპოზიცია ხალხს უბნებზე არმისვლას სთხოვს? მხოლოდ თავიანთი მარცხის წინასწარ გამართლებას ემსახურება ეს ამბავი. რაც მეტი ბოიკოტი, მით უფრო მეტი მანდატი ექნება „ქართულ ოცნებას“,** — ამბობს **ვოლსკი**.

იგივე აზრს ავითარებს მმართველი პარტიის თავმჯდომარე და პრემიერი **ირაკლი კობახიძე**, რომელიც ამბობს: „ჩვენ მზად ვართ, არჩევნებში მონაწილეობა მ**ივიღოთ ნებისმიერ პირობებში. ოპოზიციის ეს ნაბიჯი აჩვენებს, რომ ისინი შიგნიდან იშლებიან და რეალური დღის წესრიგი აღარ აქვთ“.**

კონსტიტუციონალისტი **ვახტანგ ხმალაძე** for.ge-თან ამბობს, რომ ოპოზიციის სურვილის მიუხედავად, საქართველოს კონსტიტუციით და საარჩევნო კოდექსით, არჩევნების ჩატარება არ არის დამოკიდებული ამომრჩევლის რაოდენობაზე.

**„საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუკი ჩატარებულია პროცედურულად გამართულად. მოსახლეობის დაბალი აქტივობა არ აჩერებს პროცესს და არ აუქმებს შედეგებს. დამსწრეთა ბარიერი არ არსებობს. ბოიკოტს აქვს პოლიტიკური ეფექტი, მაგრამ სამართლებრივი შედეგი — პრაქტიკულად ნული, მით უმეტეს, ადგილობრივ არჩევნებში“,** — ამბობს ის და დასძენს, რომ ბოიკოტის ტაქტიკა წინასწარ ასუსტებს ოპოზიციას და ზრდის შანსს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველა საკრებულოზე კონტროლი მოიპოვოს, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ამომრჩეველი ტრადიციულად მეტად მობილიზებულია.

**„თუ ოპოზიცია არ ჩაებმება ადგილობრივ არჩევნებში, „ოცნებას“ საშუალება ექნება, კონკურენციის გარეშე აიღოს საკრებულოები და ქალაქის მერიები. ეს მას მისცემს ძალაუფლების კიდევ უფრო ეფექტურად გამოყენების საშუალებას რეგიონებში. მაშინ, როცა მმართველი პარტია აქტიურ ამომრჩეველზე მუშაობს, ოპოზიციის გასვლა პროცესიდან, მხოლოდ „ოცნებას“ აძლევს ხელს. დაბალ აქტივობაზე მმართველ გუნდს ყოველთვის მეტი რესურსი აქვს“,** — ამბობს **ხმალაძე**.

შესაბამისად, კონსტიტუციონალისტი მიიჩნევს, რომ ოპოზიციის ბოიკოტის ტაქტიკა, რაც უნდა სიმბოლურად მნიშვნელოვანი ჩანდეს მათი ამომრჩევლისთვის, კანონით ვერ აჩერებს პროცესს, ხოლო პრაქტიკაში შესაძლოა, მმართველ პარტიას სრული ინსტიტუციური უპირატესობა მისცეს.

**„4 ოქტომბრის არჩევნები, შესაძლოა, არ იყოს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევის საკითხი — ის შესაძლოა გახდეს მმართველი პარტიის მიერ ოპოზიციური ველის კიდევ უფრო მარგინალიზების შანსი“,** — ამბობს ის.

რაც შეეხება პოლიტიკურ კონტექსტს — „დარჩი სახლში“ კამპანია ანალიტიკოს **გია აბაშიძის** აზრით, ოპოზიციისთვის სრული მარცხით დასრულდება. ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ხაბეიშვილის მცდელობა და ინიციატივები საზოგადოების მხრიდან მხოლოდ დაცინვის ობიექტია.

**„ლევან ხაბეიშვილს არაერთხელ ჰქონია მცდელობა, საკუთარი თავი ოპოზიციური დღის წესრიგის ფიგურად წარმოეჩინა, თუმცა მისი ინიციატივები საზოგადოებრივი დაცინვის საგნად გადაიქცა. თავად „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ კარგად აცნობიერებენ მის პოლიტიკურ უუნარობას“,** — ამბობს ის.

აბაშიძე მიიჩნევს, რომ კამპანია არა მხოლოდ უშედეგო იქნება, არამედ თავად იმ პარტიებსაც დააზიანებს, რომლებიც მასში მონაწილეობენ.

**„ასეთი ტიპის ბოიკოტები მხოლოდ მათ რეიტინგზე აისახება ცუდად. ეს ადამიანები საკუთარ თავს აყენებენ ზიანს და საზოგადოებაში უკვე არსებულ ნეგატიურ განწყობებსაც უფრო ამძაფრებენ. რეალურად, ერთადერთი შედეგი, რასაც მიაღწევენ, არის ის, რომ „ქართულ ოცნებას“ მეტი პოლიტიკური უპირატესობა მისცენ“.**

მისი თქმით, ოპოზიციის მთავარი პრობლემა მათი უკიდურესად დაბალი რეიტინგია, რასაც ვერ ფარავს ვერც ბოიკოტი და ვერც საინფორმაციო კამპანიები.

**„საზოგადოების თვალში მათ ავტორიტეტი დიდი ხანია დაკარგული აქვთ. კამპანიების ორგანიზება, მიკერძოებული მედიის მეშვეობით მათი გაშუქება და ბოიკოტის მუქარები აღარავის აინტერესებს. ამას შედეგი აღარ ექნება — ეს უკვე ნათელია“,** — ამბობს ანალიტიკოსი.

გია აბაშიძე ხაზს უსვამს, რომ ოპოზიციამ არც რაიმე ახალი სტრატეგია შეიმუშავა და ბოიკოტის სლოგანიც კი კოვიდპანდემიის დროიდან გადმოიტანეს.

ანალიტიკოსი ოპოზიციას ურჩევს, თუ მაინცდამაინც აქვთ პრეტენზია პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისკენ, ჯანსაღი საარჩევნო კამპანია აწარმოონ.

**„თუ მართლა სურთ პოლიტიკური ცვლილება და არა მხოლოდ მარცხის წინასწარ გამართლება, მათ ნორმალურ არჩევნებში უნდა მიიღონ მონაწილეობა. თუმცა, როგორც ჩანს, თავადაც ეჭვი აქვთ საკუთარ შანსებზე — იციან, რომ რაც არ უნდა ეცადონ, ხმებს ნაკლებს მიიღებენ, ვიდრე ბოლოს, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე აიღეს“,** — აცხადებს ანალიტიკოსი.

**ლიკა ბერიკაშვილი**

**სტანდარტისა. დღეს ვხედავთ, რომ ზოგიერთი ქვეყნის ელჩი ჩვეულებრივ კონფლიქტშია ქართველი ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებასთან, ზოგ შემთხვევაში, მათ კომენტარებს როცა ვისმენთ, ვხედავთ, რომ მათ პერსონალურ ზიზღშიც აქვთ გადაზრდილი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება.**

**რა არის დიპლომატის ამოცანა, რომ ქვეყნის ხელისუფლებებს შორის იყოს კომუნიკაციის ხიდი. როდესაც დიპლომატი დაკავებულია თავდასხმებით ხელისუფლების მიმართ, დაკავებულია თავდასხმებით ხალხის მიმართ. თავის ადგილსამყოფელ ქვეყანაში, როდესაც დიპლომატს აქვს შექმნილი თავისი ვიწრო წრე, რომელსაც ის ფულს უხდის და ის მიაჩნია იქ ხალხად და სხვას ხალხად არ თვლის, რა თქმა უნდა, ის გადის დიპლომატიური პროფესიული ეთიკის სტანდარტებიდან და ხდება ჩვეულებრივი პოლიტიკოსი.**

**ამიტომ არის მეორე კატეგორია, როდესაც კრიტიკაზე ვსაუბრობთ და ეს კატეგორია არის ზოგიერთი დიპლომატი საქართველოში, ელჩი თუ სხვა თანამშრომელი საელჩოსი, რომელიც რიგით ქართველ პოლიტიკოსად არის ქცეული, პირდაპირ აკოპირებს რადიკალური ოპოზიციის გზავნილებს, თუ ქცევის წესს და სტანდარტებს. თუკი ამ ნაბიჯზე მიდიან და ხდებიან ადგილობრივი პოლიტიკოსები, მაშინ მით უმეტეს, აიტანონ ის პოლიტიკური კრიტიკის სტანდარტი, რომელიც საქართველოში არსებობს, რომელიც მათივე დაფინანსებით არის რიგ შემთხვევაში დამკვიდრებული, ცუდ სტანდარტს ვგულისხმობ.**

**თუკი ვინმეს უნდა, იყოს მიღმა პოლიტიკური დებატებისა, მაშინ ვენის კონვენცია აძლევთ ამის ჩარჩოს, სადაც წერია, რომ ისინი არიან განყენებული, პრივილეგიებით მოსარგებლე პირები, იმ პირობით, რომ ისინი არ ერევიან საშინაო საქმეებში. არ ჩაერიონ საშინაო საქმეებში და კაციშვილს არ ახსოვს, იმდენი ელჩია საქართველოში, რომელზე გახსოვთ ან კრიტიკული განცხადებები, ან მოქალაქეებს ჰქონოდეთ ამხელა კრიტიკა, მაგრამ იმ ელჩებმა, რომლებიც დაკავებული არიან ქართველ ხალხზე თავდასხმით, უნდა აიტანონ კრიტიკა,** — განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა**.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ორგანიზებითა და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერით, 2025 წლის 30 მაისს თბილისის საკრებულოს წმინდა თამარ მეფის დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – „პრიმატობისა და სინოდალობის საკითხი და პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება“, რომელიც ეძღვნება ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების 1700 წლისთავს.**



# „პრიმატობისა და სინოდალობის საკითხი და პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება“

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობა გახსნა და შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა **გიორგი ზვიადაძემ**. მან გულითადი მადლობა გადაუხადა საზეიმო სხდომაში მონაწილეობისათვის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ **შალვა პაპუაშვილს**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბატონ **გია ვოლსკის**. ამასთანავე, მადლიერება გამოხატა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი **ირაკლი კობახიძის** მიმართ.

მან, ასევე, მადლობა გადაუხადა ღონისძიებაში მონაწილეებს: – თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სამეცნიერო საბჭოს წევრებს, პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს, ასევე, სხვა უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, ლექტორებსა და სტუდენტებს, საერთოდ, დამსწრე საზოგადოებას.

პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ ისაუბრა აღნიშნული კონფერენციის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო და ზოგადქრისტიანულ მნიშვნელობაზე და დასძინა: **„მთელი ქრისტიანული სამყარო წელს განსაკუთრებულად იხსენებს ნიკეის საეკლესიო კრებას, რომელიც 325 წელს ჩატარდა და გარდამტეხ მოვლენად იქცა ეკლესიის ისტორიაში. სინოდალობა არის ფუნდამენტი წმინდა ეკლესიისა“.**

საზეიმო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტმა **ანანიამ** (ჯაფარიძე). საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა **შალვა პაპუაშვილმა;** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ზურაბ აბაშიძემ;** თბილისის ვიცე-მერმა, ბატონმა **გიორგი ტყემალაძემ;** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა, ბატონმა **როინ მეტრეველმა**; მისმა აღმატებულებამ, ცისის ტიტულარულმა არქიეპისკოპოსმა, წმინდა საყდრის დესპანმა **ანტე იოზიჩმა**; ბუდაპეშტის საპიენტიას უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა, მღვდელმა **იაკო ფეერვარმა**; საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური ჟურნალის – „თეოლოგია“ – რედაქტორმა, **ბატონმა ალექსანდროს კაციარასმა**.

თითოეულმა გამომსვლელმა უდიდესი სიყვარული, პატივისცემა და მადლიერება გამოხატა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიმართ, მადლობა გადაუხადეს საქართველოს საპატრიარქოს, თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას, პირადად მის რექტორს, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძეს მეტად მასშტაბური და წარმომადგენლობითი ხასიათის საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებისა და იმ მნიშვნელოვანი მოვლენის ღირსეულად აღნიშვნისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1700 წლის წინ ნიკეაში.

ღონისძიების მეორე დღე სამუშაო სხდომას მიეძღვნა. სხდომა გახსნა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, თეოლოგიის, ფილოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, მართლმადიდებელი ეკლესიის პროტოპრესვიტერმა **გიორგი ზვიადაძემ.** სხდომას ხელმძღვანელობდა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, დეკანოზი **ბიძინა გუნია.**

მოხსენებებით წარდგნენ: 1. მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა **ანანია** (ჯაფარიძე) – მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 2. **მიქაელ ჰიალმი** – შვედეთი, სტოკჰოლმი. სტოკჰოლმის წმ. ეგნატე ღმერთშემოსილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი; 3. მღვდელი **სერაფიმ სმენსგარდი** – შვედეთი, სტოკჰოლმი. სტოკჰოლმის წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ასისტენტი, პროფესორი; 4. იღუმენი **ისააკ ბაანი** – უნგრეთი, ბუდაპეშტი. თეოლოგიის დოქტორი, ბუდაპეშტის საპიენტიას უნივერსიტეტის პროფესორი; 5. დეკანოზი **ლონგინოზ სუარიშვილი** – საქართველო, თბილისი. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის კანონიკური სამართლის კათედრის გამგე, თეოლოგიის მაგისტრი; 6. **დეკანოზი ალექსი ქშუტაშვილი** – საქართველო, თბილისი. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის კანონიკური სამართლის კათედრის პედაგოგი, თეოლოგიის დოქტორი.

**გულწრფელი და ემოციური იყო კონფერენციის უცხოელი მონაწილეების სამადლობელი სიტყვები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, საქართველოს საპატრიარქოსა და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის, პირადად მისი რექტორის, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის მიმართ. თითოეულმა მათგანმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების 1700 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის შესაძლებლობისა და გულითადი მასპინძლობისათვის.**

---

# „მშვიდობის როლი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“

## თბილისის მთავრობის სხდომა



**ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილზე, რესტორან „კაკლების“ მიმდებარედ, ფერდის გამაგრებისა და საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები დასრულდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდა.**

გვახსოვს, თუ რა მდგომარეობაში იყო ამ მონაკვეთზე გზის საფარიც და ფერდს ჰქონდა სერიოზული პრობლემები. ფერდზე მოეწყო 900 ანკერი და ფოლადის ბადე, რაც გრუნტის დაცურების საწინააღმდეგო სისტემას წარმოადგენს. გარდა ამისა, გზის გასწვრივ აშენდა 70 გრძივი მეტრის ხიმინჯოვანი რკინაბეტონის კედელი და მოეწყო სადრენაჟე სისტემა. პარალელურად, განხორციელდა გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია – დაიგო ასფალტის საფარი, დაიხაზა საგზაო მონიშვნები და ტერიტორია არის სრულად მოწესრიგებული. შესაბამისად, ორმხრივად გადაადგილება თავისუფლად არის შესაძლებელი. სამუშაოების პროცესში გარკვეული შეზღუდვების დაწესება გვიწევდა, თუმცა, სხვანაირად შეუძლებელი იყო ამ ტიპის სამუშაოების წარმოება.

* * *

**ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის მიზნით, წელს საზაფხულო პროგრამები 6 000-მდე ახალგაზრდისთვის განხორციელდება.**

ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩაერთონ ისეთ სპორტულ აქტივობებში, როგორებიცაა: ჩოგბურთი, პადელი, ბოულინგი, ჯომარდობა, აგრეთვე ლაშქრობებში თბილისის გარშემო და საქართველოს დაცულ ტერიტორიებში. ტრადიციულ აქტივობებთან ერთად, განხორციელდება 20-მდე თემატური ახალგაზრდული ბანაკი. ადგილობრივი ბანაკების გარდა, იგეგმება საერთაშორისო ბანაკები ფრანგი და შვედი ახალგაზრდების ჩართულობით. აღნიშნული პროგრამით სარგებლობა მოქალაქეებისთვის სრულიად უფასო იქნება.

მონაწილეთათვის უზრუნველყოფილი იქნება ტრანსპორტირება, კვება, ეკიპირება და კვალიფიციური ინსტრუქტორების მომსახურება. 2025 წლის საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამები დაიწყება 15 ივნისიდან და გაგრძელდება სექტემბრამდე. პროგრამებზე რეგისტრაცია ვებგვერდზე: www.youthtbilisi.ge ეტაპობრივად განხორციელდება.

* * *

**ჩვენი დედაქალაქი განაგრძობს თავის მრავალწლიან ტრადიციას და 5-6 ივნისს მასპინძლობს თბილისის მდგრადი განვითარების რეგიონულ ფორუმს სახელწოდებით – „მშვიდობის როლი მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“.**

თბილისის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფორუმი წლებია იმართება და უზრუნველყოფს ეფექტურ პლატფორმას დებატებისთვის, დისკუსიებისთვის და გრძელვადიანი პარტნიორობის განვითარებისთვის.

ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მთავრობის წევრები, მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამომსვლელები, ექსპერტები სხვადასხვა სფეროდან, ასევე, ბიზნესსექტორის, აკადემიური წრეებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ღონისძიების ფარგლებში განიხილება ისეთი თემები, როგორებიცაა: მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა და ინოვაციები, განახლებადი ენერგიის მოხმარება და განვითარება, თანამედროვე ტენდენციები სამშენებლო სექტორში, უძრავი ქონების ბაზარი, ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის მდგრადი განვითარება, ინვესტიციები თანამედროვე ტექნოლოგიებში, სივრცითი მოწყობა, სატრანსპორტო რეფორმა და სხვა.

* * *

**ისნის რაიონის გამგეობა ქეთევან დედოფლის გამზირის N67-N69-ის მიმდებარედ, 2 500 კვ.მ ფართობზე სკვერის რეაბილიტაციას იწყებს. პროექტი გამგეობის ბიუჯეტიდან, დაახლოებით, 700 000 ლარით დაფინანსდება. სამუშაოების ფარგლებში, მოეწყობა საბავშვო ატრაქციონები, გარე განათების ქსელი და ფიტნეს ზონა.**

განთავსდება ურნები და დამონტაჟდება სკვერისთვის საჭირო ყველა სხვა ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, განახლდება ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედანი და სკვერის ირგვლივ მოეწყობა ველობილიკიც. ჩატარდება გამწვანების სამუშაოები – მოეწყობა სარწყავი სისტემა და დაირგვება სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეები.

* * *

**ორთაჭალაში თბილისის მუნიციპალიტეტის „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის 21-ე ბიბლიოთეკას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.**

შენობა, რომელშიც ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ 1968 წლიდანაა განთავსებული, კაპიტალურად შეკეთდა. ბიბლიოთეკაში შეიცვალა დაგეგმარება, რის შედეგადაც თანამედროვე ტიპის გახსნილ და მაქსიმალურად მოხერხებულ სივრცედ გაკეთდა. რეაბილიტაციის ფარგლებში სრულად განახლდა ინფრასტრუქტურა, ფილიალს დაემატა საერთო სამუშაო სივრცე და განთავსდა სტაციონარული კომპიუტერები, რომლებიც ბიბლიოთეკის სერვისებით ნებისმიერი მოსარგებლისთვის ხელმისაწვდომია. განახლდა და გადახალისდა წიგნადი ფონდიც – კლასიკურ, თანამედროვე და საბავშვო ლიტერატურას დაემატა უახლესი გამოცემები. ბიბლიოთეკა ასევე სრულადაა აღჭურვილი, რათა უმასპინძლოს წიგნის წარდგენებსა და სხვადასხვა სახის სახელოვნებო თუ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტებს.

# ამონარიდები პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის 4 ივნისის სხდომიდან





## ლია მელიქიშვილი: თამარ კეკელიძემ სამსახურიდან გათავისუფლება სალაროსთან შეიტყო, იმ ღამეს გახდა ცუდად და გარდაიცვალა!

### აბუჩად აგდებული აკადემიური სექტორი

აკადემიკოსმა ლია მელიქიშვილმა კომისიის სხდომაზე საქართველოს უნივერსიტეტებში აკადემიური პერსონალის უფლებების შელახვის საკითხზე ისაუბრა.

**„თამარ კეკელიძე იყო საკმაოდ პატრიოტი ადამიანი, თავისი ბუნებით იყო ემოციური. ძალიან კარგად იცოდა საქართველოს ისტორია, რადგან სპეციალისტი იყო. მუშაობდა ჩვენთან, ისტორიის ინსტიტუტში. რამდენიმე ხნის შემდეგ ოთარ ჯაფარიძემ სთხოვა, გადასულიყო უნივერსიტეტში და არქეოლოგიაში ჩაეტარებინა სემინარები. თამარი მართლაც გადავიდა და იქ მოღვაწეობდა. ისე უყვარდა ისტორია, რომ არა მარტო სტუდენტებს, არამედ ვინც შეხვდებოდა, მეზობელი იქნებოდა თუ მეგობრის შვილი, ყველას დიდი რუდუნებით ასწავლიდა საქართველოს ისტორიას. როდესაც ჩვენს ქვეყანაში დამძიმდა მდგომარეობა, თამარი ამას განსაკუთრებულად განიცდიდა, რადგან უყვარდა თავისი საქმე. ჩვენ გვქონდა ძალიან კარგი პროექტები მოპოვებული და თამარი ჩვენთან ერთად მუშაობდა.**

**ისტორიის ინსტიტუტში, ჩემს პროექტში მუშაობდა საკმაოდ მაღალ დონეზე. წიგნიც გამოვეცით თამარის ცალკე. მუშაობდა პანკისის ხეობაშიც, სადაც ძალიან რთული ვითარება იყო და ვერავინ შედიოდა. მარტო ჩემი ექსპედიცია შევიდა, ქალები და ნოდარ სარჯველაძე, ფსიქოლოგი, რომელიც ტრენინგებს ატარებდა ბავშვებთან. თამარმა კარგად იცოდა ის პროცესები, რაც საქართველოში მიმდინარეობდა. გარდა ამისა, ჩვენი გუნდი სახელმწიფოს განვითარებას ვსწავლობდით. ჩვენთვის ძალიან კარგად იყო ცნობილი, რამდენიმე ხნის შემდეგ სად მივიდოდით. როცა დაიწყო ეს პროცესი, ძალიან კარგად ჩანდა, რომ ავტორიტარიზმი მყარდებოდა ქვეყანაში. თამარმაც იცოდა და მთელმა ჩემმა გუნდმა, რომ ჩვენ თუ ამას არ ავცდებოდით, ძალიან ცუდი შედეგები იქნებოდა.**

**თამარი არაფერს უშინდებოდა, ყველას აძლევდა ინტერვიუს. როდესაც უნივერსიტეტში რყევა დაიწყო, კათედრების ნიველირება, როცა ეგრეთ წოდებული ლომაიას რეფორმა ჩატარდა, ერთმანეთს ვუზიარებდით აზრებს, ამაზე ვსაუბრობდით და ძალიან აღშფოთებული ვიყავით. დაიწყო კათედრების ნიველირება. მახსოვს, როგორ გამოცხადდა, რომ უნივერსიტეტებში უნდა იყოს შემცირება, ჩვენთანაც იყო შემცირება. გაიგებთ, ვინ არის შემცირებული, როცა მიხვალთ სალაროსთანო. თამარმა მითხრა, გაგიგია ასეთი საშინელება, რომ სალაროსთან მივიდე და იქ მითხრან, გათავისუფლებული ხარო? ამ პერიოდში თამარი მუშაობდა ჩემს პროექტში და პანკისის ხეობაზე აკეთებდა წიგნს. ასეც მოხდა. ხელფასის დღეს თამარი მივიდა და მოლარემ უთხრა, სამწუხაროდ, სიაში არ ხარო. თამარს ხმა არ ამოუღია, ვერც ვერავის დაელაპარაკა, წავიდა სახლში. მთელი ღამე ჩვენს მეგობარს ესაუბრა, ყვებოდა, რამდენად შეურაცხყოფილი იყო იმით, რაც მოხდა, ამბობდა, ჩემს თავს არ ვდარდობ, უნივერსიტეტზე მწყდება გული და საერთოდ საქართველოზე, რა ხდება ეს, როგორ არ აფასებენ ადამიანებსო. საუბარი რომ დაამთავრა, გახდა ცუდად. თამარი იყო კუზანოვების მეზობელი, მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ვერაფერი უშველეს, ის გარდაიცვალა გულით. თამარი არასდროს ავად არ ყოფილა, ჯანმრთელი ადამიანი იყო, მაგრამ ამან მოუსწრაფა სიცოცხლე. ჩვენი ინსტიტუტიდან საკმაოდ მაღალი დონის მეცნიერები როდესაც გაათავისუფლეს, ერთმანეთის მიყოლებით ყველა გარდაიცვალა, ვერ ვასწრებდით პანაშვიდზე მისვლას. ერთ-ერთმა უცხოელმა ფსიქოლოგმა ამიხსნა, რომ ძალიან მძიმეა, როცა მთელი ცხოვრება რაღაცას ემსახურები და შემდეგ შეურაცხყოფილი მიდიხარ, ფაქტობრივად, გაგდებენო. ამიტომ მოხდა ეს თქვენთანო“,** – განაცხადა ლია მელიქიშვილმა.

კომისიის თავმჯდომარემ თეა წულუკიანმა მელიქიშვილს ჰკითხა, როდის მოხდა თამარ კეკელიძის სალაროსთან მისვლა, რაზეც ლია მელიქიშვილმა უპასუხა: **„ხუთ ივლისს, 2005 წელი იყო“.**



## გიორგი გოგოლაშვილი: ნაცებმა ერთდროულად ჩაატარეს რამდენიმე მძიმე ღონისძიება ქართული ენის მიმართ!

### საქართველოში სახელმწიფო ენა უნდა იყოს ინგლისური!

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორმა, გიორგი გოგოლაშვილმა „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის“ სხდომაზე განაცხადა, რომ 2004-2005 წლებში განათლების სამინისტროს მხრიდან მძიმე ღონისძიებები ჩატარდა ქართული ენის მიმართულებით.**

კომისიის სხდომაზე გოგოლაშვილმა განათლების სამინისტროში ალექსანდრე ლომაიასთან შეხვედრა გაიხსენა.

**„ხელისუფლება როცა მოვიდა, ერთდროულად ჩაატარა რამდენიმე მძიმე ღონისძიება ქართული ენის მიმართ. გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატა, პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო კომისია ქართული ენისა. ეს ხდებოდა 2004-2005 წლებში. გაუქმდა პარლამენტში არსებული ქართული ენის ქვეკომიტეტი, უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლება, დაიხურა ყველა სატელევიზიო პროგრამა: „ჩვენი ენა ქართული“, „ენაი შემკული და კურთხეული“ და ასე შემდეგ. დაიხურა ყველა ჟურნალ-გაზეთი. ცოტა მოგვიანებით პირველ კლასში ქართულის საათები გაუყვეს ინგლისურს. არაერთგზის დაიწერა, რატომ ხდებოდა ასეთი მასშტაბური შეტევა. ლომაიას ვკითხე, ეს არის სამინისტროს პოზიცია თუ გიგი თევზაძის პოზიცია-მეთქი. მაშინ ამაზე პასუხი არ გაუციათ. მეორე კითხვაც დავსვი: გიგი თევზაძემ თქვა, ჩვენ არ ვითანამშრომლებთ ჯავახიშვილის უნივერსიტეტთანო. უპირველეს უმაღლეს სასწავლებელთან, განათლების სისტემაში უპირველეს დაწესებულებასთან არ ვითანამშრომლებთ, ეს მისი პირადი აზრია თუ სამინისტროს აზრი-მეთქი. ეს კითხვები როცა დავსვი, შეხვედრას ესწრებოდა თავად მინისტრი, მისი მოადგილე, ალექსანდრე დიდებულიძე, ბელა წიფურია, რატი ამაღლობელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი და კიდევ მაღალჩინოსნები, გიგი თევზაძე და სიმონ ჯანაშია. ეს კითხვები დავსვი ოფიციალურად, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. პროფესორებიდან შეხვედრაზე იყვნენ მიხეილ ქურდიანი, ჯემალ მეზონია, თენგიზ სანაძე“...**

როგორც გიორგი გოგოლაშვილმა განმარტა, აღნიშნული შეხვედრა განათლების სამინისტროში 2004 წლის ბოლოს ლომაიას მიწვევით შედგა.

კომისიის თავმჯდომარემ **თეა წულუკიანმა** გოგოლაშვილს მიმართა: „ცოცხალია და იქნებ ახლა თქვას რამე გიგი **თევზაძემ, რატომ აპირებდა ინგლისურის სახელმწიფო ენად ქცევას მაშინდელი განათლების სამინისტრო სააკაშვილთან ერთად?“**

**გიორგი გოგოლაშვილი: „საქართველოში სახელმწიფო ენა უნდა იყოს ინგლისური“, ეს გახლავთ გიგი თევზაძის ერთ-ერთი ზეპირი განმარტება.**

– რა იყო ძირითადი იმ კანონში, რაც ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელი იყო და რამაც უნივერსიტეტი აღაშფოთა? კანონის მიხედვით, უნივერსიტეტს მოეხსნებოდა სახელმწიფო დახმარება, სახელმწიფო უნივერსიტეტი რჩებოდა სახელმწიფო დაფინანსების გარეშე, მას თავისი თავი თავად უნდა ერჩინა. კანონის მიხედვით, სამეცნიერო სექტორი, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა, სიტყვა „მეცნიერი“ აღარ იყო კანონში ნახსენები. შემოღებული იქნებოდა ასაკობრივი ცენზი – 65 წელი. ერთი პუნქტი იყო ქართულთან დაკავშირებით, ამოღებული იყო წინა კანონიდან პუნქტი, რომ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ენა უნდა იყოს ქართული. ეს პუნქტი ამოიღეს, საბედნიეროდ, ბრძოლით მოხერხდა და იმ პერიოდში ეს პუნქტი დავაბრუნებინეთ. ამ საკითხზე პირადად როცა დავუსვი კითხვა განათლების სამინისტროს იმჟამინდელ ერთ-ერთ მაღალჩინოსანს, გიგი თევზაძეს, რა ხდება, რაშია საქმე-მეთქი, ასეთი პასუხი გამცა და ეს დაიწერა მაშინ არაერთგზის: **„ჩვენ ასე უნდა გავაკეთოთ, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა უნდა იყოს ინგლისური“.** ეს გიგი თევზაძის იმ დროინდელი ერთ-ერთი ზეპირი განმარტება გახლავთ.

# შეტევა ინსტიტუციაზე, შეტევა ლიდერზე!



## ავთანდილ არაბული: ნაცმოძრაობის ხელისუფლების შეტევის უმთავრესი საგანი იყო სამი ინსტიტუცია...

**პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე,** სადაც საქართველოს უნივერსიტეტებში აკადემიური პერსონალის უფლებების შელახვის ფაქტი განიხილეს, 4 ივნისს აკადემიკოსმა **ავთანდილ არაბულმა** ისაუბრა.

**– მათ ასეთი ტაქტიკა ჰქონდათ, როდესაც ინსტიტუციას უტევდნენ, ლიდერს უტევდნენ, მიზანში ამოიღებდნენ და ამოიღეს, სამი ინსტიტუცია იყო მაშინ მათი შეტევის უმთავრესი საგანი, ეს არის ბურჯი ჩვენი სახელმწიფოებრიობისა – ჩვენი სამოციქულო ეკლესია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია. ამ მიმართულებით განვითარდა და ზუსტად ერთი მეთოდი იყო, ბატონი როინ მეტრეველის წინააღმდეგ გაილაშქრეს, როინი იყო ასეთი გამოკვეთილი ლიდერი, და, მეორე მხრივ, აკადემიის მისამართით ასეთი შეტევა განხორციელდა ალბერტ თავხელიძეზე, უდიდეს ფიზიკოსზე, რომელიც მაშინ იყო პრეზიდენტი და ვერ გაუძლო ამ შეტევას, სხვათა შორის. წარმოგიდგენიათ, ალბერტ თავხელიძეს დააბრალეს, რომ გაყიდაო აკადემ-ქალაქი, პირდაპირ იქ აკადემიის ინსტიტუტები უნდა დაფუძნებულიყო, რამდენიმე აშენდა კიდეც და ვითომ ის მიწები იყიდებოდა. ალბერტ თავხელიძე ჩაჯდა თვითმფრინავში და გაფრინდა, გაერიდა, რადგან თქვა, როდესაც ნიაღვარი მოდის, უნდა გაერიდოო. მან შეატყო, რა პროცესიც იყო, მით უმეტეს, მას რუსეთში ჰქონდა გამოცდილება, ტოტალიტარული რეჟიმი რას ნიშნავს,** – განაცხადა **ავთანდილ არაბულმა.**

# მესამედი საუკუნის წინ ჩადებული ნაღმი...

## ჰომოსექსუალიზმი საქართველოშიც ტრაგედიად გვექცა!

ეს წერილი 27 წლის წინათ დაიწერა... მას შემდეგ ვითარება საქართველოში ბევრად გაუარესდა. მეტიც – საქართველოს პარლამენტის წლევანდელ გადაწყვეტილებას „ოჯახის სიწმინდის შესახებ“ კანონის მიღებაზე, რადიკალური ოპოზიციის, ქართული საზოგადოების ერთი სოლიდური ნაწილისა და ჩვენი ევროპელ-ამერიკელი „მეგობრების“ უკიდურესი გაღიზიანება მოჰყვა. მიტინგომანია და უაზრო პოლიტიკური დაპირისპირებები ოდესმე უთუოდ გადაივლის, რაღაც ჩარჩოში მოექცევა, მაგრამ, თუ „ქერინგთონული“ ცხოვრების წესი გავიმ-შობლიურეთ, ქართველობის გადაშენება გარდუვალია. თანაც, ჩვენ რომ წარმოგვიდგენია, იმაზე ბევრად სწრაფად.



**თეიმურაზ ქორიძე**

# ქერინგთონები ჩვენს ოჯახში

**ყველაზე სერიოზული ჟანრის ტელესერიალი, რომელიც კი ქართული ტელევიზიით ოდესმე უჩვენებიათ, არის „დინასტია“. იგი, რა თქმა უნდა, არ ჰგავს ყოვლად უნიჭოდ დადგმულ განანების ქვეყნების უსასრულო სერიალებს. თუმცა, იმ ბრაზილიურ, მექსიკურ თუ თურქულ სერიალებსაც საქართველოში მაყურებელთა ვეებერთელა აუდიტორია ჰყავს.**

**ვიდრე ფილმზე ორიოდე მოსაზრებას გაგიზიარებდეთ, მოდი, გავიხსენოთ ამ „კარგი სერიალის“ მთავარი მოქმედი გმირები, ანუ ქერინგთონების ოჯახის წევრები და სხვა უახლოესი ადამიანები.**

### მამა ნახე...

**ფილმის მიხედვით, ოჯახის თავი, ნავთობის იმპერიის მფლობელი, მილიონერი ბლეიქ ქერინგთონი ჭარმაგი, სიმპათიური მამაკაცია. კარიერა ნავთის გამყიდველობიდან დაუწყია. ახლა, როგორც ამბობენ, „მსოფლიოს აზანზარებს“.**

ამ უსასტიკესი ადამიანისთვის უცხოა დათმობა, მიტევება, მიფერება, იუმორი, მეგობრობა; სიყვარულზე ხშირად ლაპარაკობს, მაგრამ უყვარს არა მის ირგვლივ მყოფი ადამიანები, არამედ ფულის კეთების პროცესი. ეს არის მისი ერთადერთი სიყვარული. სხვა ყველაფერი ყალბია, გამოგონილია.

### დედა ნახე...

**ბლეიქ ქერინგთონის პირველი ცოლი, ბლეიქის შვილების დედა, მისის ელექსის ქერინგთონი ყოფილ მეუღლეზე შურის საძიებლად ჩამოსულა და ბლეიქის მამულში მდებარე საკუთარ სახელოსნოში ჩასახლებულა.**

ეს არის თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე სულიერად და ხორციელად გარყვნილი ადამიანი. უსაზღვროა მისი ცინიზმი და თავხედობა. ეს არის ქალი, ვისაც ამქვეყნად ყველაფერი სძულს, მათ შორის – საკუთარი შვილებიც; ვინც მუდამ მზად არის ხელი მოაწეროს ნებისმიერ ბოროტებას.

### ფელონი

**ბლეიქის ოციოდე წლის ქალიშვილი – პათოლოგიური მეძავი, რომელმაც მამის ოჯახში შემოსული თითქმის ყველა მამაკაცის საწოლში შეძრომა მოასწრო; მშობლებივით დაუნდობელი და ცინიზმით სავსე ბუნების საკმაოდ სიმპათიური გოგო.**

თავისი მიზნის მისაღწევად ნებისმიერი სისაძაგლის ჩადენა შეუძლია. ამტკიცებს, რომ მისთვის ერთადერთი საყვარელი ადამიანი, არის მამა – ბლეიქ ქერინგთონი. თუმცა, მაყურებელი ფილმში ამ სიყვარულის რაიმე ნიშანწყალს ვერ ხედავს და ფელონის განცხადებაც ლიტონ სიტყვებად რჩება.

### სთივენი

**ბლეიქის ვაჟი – ერთადერთი დადებითი პიროვნება ქერინგთონების ოჯახში.**

იგი ხედავს ოჯახის წევრების, განსაკუთრებით, მამის არაადამიანურ საქციელს და სურს როგორმე წინ აღუდგეს ქერინგთონების ოჯახში დასადგურებულ სიდამპლეს; მზად არის, სიმართლე ყველას პირში მიახალოს, მაგრამ მეტისმეტად სუსტია რაიმეს შესაცვლელად. ამიტომ „ერთადერთი დადებითი პიროვნება“ პროტესტის უცნაურ ფორმას მიმართავს.

### ცოლი

**ბლეიქ ქერინგთონის მეორე ცოლი კრისთლი – მშვენიერი, ვნებიანი ქალბატონი. როგორც აცხადებს, ნამდვილად უყვარს ბლეიქი და არ ნანობს, რომ, რაც მისი ცოლი გახდა, სხვა მამაკაცთან არ წოლილა (ამ ოჯახის წევრებისთვის ერთობ გმირული საქციელია!).**

ბნელი წარსულის ქალი. ელექსისის ღირსეული მეტოქე და პარტნიორი. ვიდრე კანონიერი ცოლი გახდებოდა, მომავალი ქმრის სპეციალურ დავალებებს ასრულებდა – ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ხშირად აღმოჩნდებოდა ხოლმე ბლეიქ ქერინგთონის საქმიანი ოპონენტების საწოლში. მოკლედ, ისიც ჩვეულებრივი მეძავია.

### რძალი

**სთივენ ქერინგთონი ცოლად ირთავს კრისთლისთან (დედინაცვალთან) სტუმრად ჩამოსულ დისშვილს, სემი ჯოს. სთივენის ცოლი, როგორც მოსალოდნელი იყო, მეძავი, ქურდბაცაცა, თავხედი და უწიგნურია.**



მოკლედ, ყველა პარამეტრით სავსებით შეესაბამება ქერინგთონების უცნაურ ოჯახს. საბოლოოდ, ისიც კი ვერ უძლებს ოჯახურ ინტრიგებს და შინიდან გარბის.

### ოჯახის ექიმი

**ფსიქიატრი ტოსკანი ქერინგთონების ოჯახში შურის საძიებლად არის მისული.**

მან უკვე მოასწრო ოჯახის ყველა მდედრობითი სქესის წევრთან სასიყვარულო ურთიერთობების დამყარება. ფელონის ოფიციალური საყვარელია. თუმცა, აშკარად ჩანს, რომ ამ „სიყვარულს“ ანგარება ამოძრავებს. ოჯახის მამა, რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას ვერ ამჩნევს.

### მსახური

**როჯერი უფრო ადმინისტრატორია, ვიდრე მსახური. იგი უკვე ხანდაზმული კაცია. თავისი პატრონის უსაზღვროდ ერთგული და ყველა მისი კაპრიზის უსიტყვო შემსრულებელი; არ თამაშობს, უბრალოდ, ბრძანებებს ასრულებს.**

სამწუხაროდ, მსახურთუხუცესი როჯერიც ვერ არის მთლად სრულფასოვანი ადამიანი – იგი იმპოტენტია.

### მეგობარი

**მილიარდერი სესილ ქოლბი ბლეიქ ქერინგთონის ახალგაზრდობის მეგობარი და პარტნიორია. ახალგაზრდობაშივე დაუახლოვდა მეგობრის მაშინდელ ცოლს, ელექსისს ისე, რომ ჭირს გარკვევა, ფელონი ქოლბის ქალიშვილია, თუ თავისი ოფიციალური მამისა.**

სესილ ქოლბი ყველანაირად ცდილობს, დაამხოს ქერინგთონის იმპერია და დაასამაროს „მეგობრობა“. ამ კაცს მშვენივრად ახასიათებს თავისივე ნათქვამი: „კიდევ კარგი, ღმერთმა ვაჟიშვილი არ მომცა!“ სესილ ქოლბი ქერინგთონების ოჯახის წევრებთან შედარებითაც კი ამაზრზენად გამოიყურება.

### ახლა ვიფიქროთ

ასეთია ძალიან მოკლე დახასიათება იმ ოჯახის წევრებისა, რომლის ისტორიასაც გვთავაზობს ამერიკული სერიალი „დინასტია“. ძნელი სათქმელია, რა მიზანს ისახავდა რეჟისორი, როცა ამ ფილმს იღებდა. კიდევ უფრო ძნელი სავარაუდოა ფილმის გადმომქართულებელთა მიზანი.

**მას შემდეგ, რაც საქართველოში საბაზრო ეკონომიკამ, ანუ ფულის დიქტატურამ დაიწყო დამკვიდრება, ყველაფერი ამერიკული, მათ შორის, ამერიკული ცხოვრების წესი, ჩვენთვის მისაბაძი გახდა. გავიხსენოთ, თუნდაც, „მალრბოროს“, „ვინსტონის“, „კენტის“ რეკლამები, რომლებიც თავისუფალ სამყაროსთან ზიარებას გვთავაზობენ. ეს უსასრულო ფილმიც ამერიკული თავისუფლების ცხოვრების წესის პროპაგანდაა: ფულის საშოვნელად ყველა გზა გამართლებულია, ყველაფერი დანარჩენი – სინდისი, ნამუსი, პატიოსნება, სიყვარული, მეგობრობა, ოჯახი, ადათი, ტრადიცია – სისულელეა, ზედმეტი ბარგია. ქართველი ობივატელისათვის, განსაკუთრებით, იმ „ახალი ქართველებისათვის“ ბანკების გაძარცვით ან, უბრალოდ, ყაჩაღობით ფული რომ იშოვა და დღეს რესპექტაბელური ბიზნესმენის როლს თამაშობს, ამგვარი ფილმი ზედგამოჭრილია საკუთარი გარყვნილების გასამართლებლად – აი, ნახეთ, რა ხდება თურმე ამერიკაში, ჩვენ ვითომ, რით ვართ ამერიკელებზე ნაკლები! მოდი, შევეჯიბროთ ამერიკელებს დაუნდობლობაში, ორპირობაში, გამყიდველობაში, თავხედობაში, გარყვნილებაში, სიძულვილში!..**

**ამერიკული ცხოვრების წესის ამგვარი ინტერპრეტაცია უდიდესი დარტყმაა ჩვენს, ქართულ ცხოვრების წესზე, საზოგადოებრივ აზრზე, ტრადიციებზე. ვისაც არ უნახავს ნამდვილი ამერიკა, ამერიკული ოჯახი, იგი აბსოლუტურად დეზორიენტირებულია; იძულებულია, ან მიბაძოს „დინასტიის“ ოჯახის წევრებს, ან შეიძულოს ისინი და, საერთოდ, მიაფურთხოს ყოველგვარ ამერიკულს. ორივე შემთხვევაში, კატასტროფა გარდაუვალია.**

* * *

**და მაინც, ვფიქრობ, საქმე მთლად ასე სწორხაზოვნად არ უნდა იყოს. როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ერთადერთი დადებითი გმირი ქერინგთონების ბაქქანალიაში არის სთივენ ქერინგთონი, რომელიც ცდილობს როგორმე წინ აღუდგეს იმ სისაძაგლეებს, რაც მამის ოჯახში ხდება. იგი ტრაგიკული გმირის როლშია და, ბუნებრივია, მაყურებელთა სიმპათიებიც უმწეო, მაგრამ მებრძოლი სთივენის მხარესაა.**

ეს სამართლიანობისთვის მებრძოლი გმირი, ინტრიგებისა და ორპირობის მსხვერპლი, სიმპათიური სთივენი ჰომოსექსუალია. ერთადერთი, ვინც სთივენის ამ არცთუ საამაყო სექსუალური მიდრეკილების წინააღმდეგ იბრძვის, მისი მამა ბლეიქ ქერინგთონია. მაგრამ არც მას, არც ოჯახის სხვა რომელიმე წევრს არა აქვთ არანაირი მორალური უფლება, განსაჯონ სთივენის საქციელი. ისინი, ყველანი, გარყვნილები, გათახსირებულები არიან. მათ ფონზე და, საერთოდაც, სთივენი „კარგი ბიჭია“.

აი, აქ არის ძაღლის თავი დამარხული: ყველაფერი გამოგონილია, ყველაფერი ხელოვნურია, ყველაფერი ყალბია – ბლეიქის სისასტიკეც, ელექსისის სატანური ორპირობაც, ფელონის მეძავობაც, ექიმ ტოსკანის შურისმაძიებლობაც, კრისთლის ბნელი წარსულიც, სემი ჯოს ქურდბაცაცობაც, თვით მსახურ როჯერის იმპოტენტობაც კი – ნამდვილია მხოლოდ სთივენის პედერასტობა. მთელი ფილმიც სთივენის „კარგ ბიჭობაზე“ და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაზეა აგებული. ჰომოსექსუალი სთივენი მოსიყვარულეცაა, მეგობრულიც, გამგებიც, ხელგაშლილიც, ვაჟკაცურიც, მებრძოლიც... ყველა დანარჩენი „დინასტიელი“ ნაძირალაა. მსოფლიოს ჰომოსექსუალისტების ხელში დღეს უდიდესი ფინანსური საშუალებებია თავმოყრილი. მათთვის, ფაქტობრივად, არ არსებობს არავითარი ბარიერი, არავითარი წინააღმდეგობა. საბჭოთა იმპერიაში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა სასტიკად იყო აკრძალული. ახლა არავინ იცის, დასაშვებია თუ აკრძალულია. გადახედეთ დღევანდელ პრესას, ტელეარხებით გადაცემულ ფილმებს და ყველაფერი ცხადი გახდება – საქართველოში კარგა ხანია დაიწყო ჰომოსექსუალიზმის სიკეთის აღვირახსნილი პროპაგანდა.

**შემიძლია ასპროცენტიანი ალბათობით ვიწინასწარმეტყველო – ეს პროპაგანდა უკვე ხვალ ტრაგედიად შემოგვიბრუნდება.**

16. 07. 1998

საიუბილეო საღამო



# შოთა დარბუაშვილს – აკაკი წერეთლის პრემია!

**ვარდობისთვის მიწურულს, თბილისში სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ფოიეში, შვიდი ათეული წლის ლიახვისპირელი პოეტის, პუბლიცისტის, მომღერლისა და საზოგადო მოღვაწის შოთა დარბუაშვილის საიუბილეო საღამო გაიმართა.**

ქართველებისგან გამოხშირული ცხინვალქალაქი ხელხვავიანი შემოქმედის სატკივარ-საწუხარია, რაც საზეიმო ღონისძიებაზე, მის გულსევდიან გამოსვლაში კიდევ ერთხელ გაჟღერდა:

**„სამყაროს ფერად ზეგანზე**
**ცა, ზღვა, ხმელეთი სულ იყო,**
**მე ჩემს სამშობლოს ვეძებდი –**
**ვერ ვნახე, დაკარგულიყო.**
**მავთულხლართებთან ვტიროდი,**
**„სადა ხარ, ჩემო სულიკო?!..“**

ლიახველებს (და არა მხოლოდ) კარგად ახსოვთ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ბონვარონის“ წარმატება... დამსწრე საზოგადოებას უჩვენეს „ცხინვალელი ოთხეულის“ კლიპი – დაუვიწყარი მოგონებანი იმ აღმასვლისა, რომელიც მარად უკვდავი ხელოვნების სამაჩაბლოელმა მსახურმა რუდუნებით განვლო...

იუბილარს მიესალმნენ: თბილისში სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **თამაზ ბესტაევი,** პოეტი **მზია ხეთაგური,** რეჟისორი **თამარ ხიზანიშვილი,** მწერალი და პუბლიცისტი **რობერტ ოდიკაძე**, პოეტი **ციცინო ბაბუციძე**, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი **ნაირა ბეპიევა,** დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს პასუხისმგებელი მუშაკი **რობერტ მამისაშვილი,** ცხინვალის საზოგადოების, თიღვის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ნართების“ ვაჟთა ვოკალურმა ჯგუფმა, ხოლო იუბილარის ლექსები ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებმა წაიკითხეს.



**მაისის დასალიერს, ეს დღე იმითაც იყო ღირსსახსოვარი, რომ სახელოვანი ცხინვალელი პოეტი და პატრიოტი მამულიშვილი, რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი შოთა დარბუაშვილი, საქართველოს ბულბულის – აკაკი წერეთლის პრემიით დაჯილდოვდა.**

**რობერტ ოდიკაძე**

# ჯემალ დავლიანიძე წარმოგვიდგენს



**სამშობლოს ერთგული, პატრიოტი ადამიანების წიგნების თაროს აუცილებლად დაამშვენებს გამომცემლობა „საარის“ მიერ ახლახან გამოცემული, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, პუბლიცისტის, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ჯემალ დავლიანიძის მორიგი წიგნი-შედევრი „მწარე გაკვეთილები – ევროამერიკა, რუსეთი და საქართველო“.**

**ჯემალ დავლიანიძის წიგნში მოთხრობილია და დოკუმენტურადაა მხილებული გუშინდელი თუ ამჟამინდელი მსოფლიო ბნელეთის წარმომადგენელთა ანტიკაცობრიული საქმიანობა, რასაც ცივილიზებული სამყარო თვითლიკვიდაციისკენ მიჰყავს.**

წიგნის რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბატონი **ელდარ ნადირაძე** პირდაპირ მიმართავს მკითხველს: **„ვისაც ნაკლებად აინტერესებს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის მუხთალი დრო, ვის გულთანაც ახლოს არ მისულა ქვეყნის გასაჭირი და სამშობლოს მიმართ უზრუნველი ხასიათით დააჯილდოვა ბუნებამ, შეუძლია წყნარად იყოს, შეუძლია ყურადღებაც არ მიაქციოს ამ ერთიან გოდებას ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ, იმ წარსულის, რომლის მონაწილენი და შემცნობელნი ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ, ჯერ კიდევ ვერ დაგვიჯერებია, არ მოგვრჩენია უსაზღვროდ ტკივილიანი ჭრილობები და გვიკვირს – როგორ შეიძლება ადამიანი იყოს ასეთი მტერი თავისი სამშობლოსი და მოყვარული მხოლოდ საკუთარი ინტერესებისა და საქმისა“.**





წიგნთან დამეგობრებული, გონიერი მკითხველი კარგად იცნობს ჯემალ დავლიანიძის ფაქტებზე, რეალურ ცხოვრებაზე დაფუძნებული, ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე მრავალფეროვან შემოქმედებას.

მაგრამ, ყველამ არ იცის ბატონი ჯემალის გატაცების შესახებ ისეთ ფენომენზე როგორიცაა მუსიკალური ხელოვნება, ალპინიზმი, იოგას საიდუმლოებით აღსავსე საოცრება და ღვთისგან დამადლებული ყველა ის სიკეთე, რაც ასაზრდოებს და განამტკიცებს „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის“ ზეობას.

ამიტომაც არის მასში მოჭარბებულად თანაგრძნობა-თანადგომა უსამართლობით და უიღბლობით დაჩაგრულ-დამწუხრებული ადამიანებისადმი და შეუპოვარი, დაუნდობელი დამოკიდებულება თვალთმაქც, უსულგულო, ვირეშმაკა არსებების მიმართ, რომლებიც მზად არიან ყოველგვარი სისაძაგლის, ბოროტების, გნებავთ, სამშობლოს ღალატის ფასად შეიქმნან კარიერა, მოიწყონ პირადი კეთილდღეობა და დაიმკვიდრონ ნანატრი ადგილი ე.წ „საზოგადოებაში“, რომელი საზოგადოებაც, დიდად სამწუხაროდ, ქვეყნის საუბედუროდ, სწორედ მათი მსგავსი ბოგანოებით არის გადავსებული. ერის სასიქადულო შვილი, დიდი ქართველი პოეტი მუხრან მაჭავარიანი, პატივს მიაგებს რა ჯემალ დავლიანიძის ჭეშმარიტ, მამულიშვილურ ცხოვრებისეულ გზას და შემოქმედებას, ასე მიმართავს მას:

**„ჯემალ დავლიანიძე გულქართლი კაცია,**
**ჯემალ დავლიანიძე ნათელი კაცია,**
**ეკლიანია გზა, რომელსაც ადგას იგი,**
**საკუთარი სინდისი აიძულებს მას, –**
**იყოს ისეთი, – როგორიც არის.**
**წერდეს ისე, – როგორც წერს.**
**ადგეს იმ გზას, – რომელსაც ადგას.**
**ასეა! –**
**რადგან**
**სიმართლეს ქვეყნად**
**პატრონი არ ჰყავს,**
**ნამუსის გარდა!“**

სწორედ გულქართლობამ, სინდისმა და რაინდულმა სულმა შეაძლებინა ბატონ ჯემალს, დაემარცხებინა, გადაელახა უამრავი ცხოვრებისეული სირთულეები, ბოლომდე დარჩენილიყო ერის მიერ მთაწმინდაზე ასვენებული საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უერთგულეს მეგობრად და თანამებრძოლად, ჩაეტარებინა მრავალი მწერლური გამოძიება მრავალფეროვან ფაქტობრივ, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით შეექმნა და წარმოედგინა ჩვენთვის საკმაოდ მოზრდილი, თითქმის 700-გვერდიანი უნიკალური თხზულება, რასაც, იმედია ტკივილიანი უახლესი წარსულის არდავიწყებით და იმედიანი ხვალინდელი დღის მოლოდინით მიიღებს ღირსეული ქართველობა.

**გია ომანაძე.**

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია.**

# მწარე გაკვეთილები,

## ანუ სიმართლე მცირე ტირაჟით

**2024 წლის მიწურულს მწერალმა ჯემალ დავლიანიძემ საკუთარი ხარჯით გამოსცა წიგნი (ძალიან მცირე ტირაჟით, 200 ცალი) „მწარე გაკვეთილები – ევროამერიკა, რუსეთი და საქართველო“.**

**მწერალი ამ წიგნში მოგვითხრობს საქართველოს უახლეს ისტორიას ნაღდ, უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით. იგი აღწერს 1991-1992 წლეებში პუტჩისტების მიერ კანონიერი ხელისუფლების დამხობას და შემდგომ, საქართველოში თუ როგორი ტრაგედია დაატრიალეს მოძალადე ხელისუფლების პირველმა პირებმა, მოსყიდულმა ნაღებმა ინტელიგენციამ და საზოგადოების უსამშობლო პირებმა. წიგნში თვალნათლივ ჩანს, თუ ვინ-ვინ იყო.**

**მივმართავ განათლების სამინისტროს, მწერალი ჯემალ დავლიანიძე დააფინანსოს, რომ ეს წიგნი დიდი ტირაჟით გამოსცეს, რადგანაც იგი შეიცავს უტყუარ ფაქტებს საქართველოს უახლეს ისტორიისას. ჩემი და იმათ თვალსაზრისითაც, ვინც ეს წიგნი წაიკითხა, ვაღიარებთ, რომ ეს წიგნი უნდა იქცეს საქართველოში მცხოვრები ქართველის და არა ქართველისთვის სამაგიდო წიგნად, ხოლო განათლების სამინისტრომ საშუალო-საჯარო სკოლებში უახლესი ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოდ აღიაროს და დააკანონოს.**

**გიორგი თედეთი,**

**საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრი, ალმანახ „ამერ-იმერის“ თანარედაქტორი**

# ოთარ შიუკაშვილის „ბროწეულები ლანგარზე“ საჩუქრად ხელოვნების სასახლეს

**ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია სამადლობელ სტატუსს აქვეყნებს. განსაკუთრებულ მადლობას უხდის ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ცნობილ ქართველ ჟურნალისტს, სასცენო ხელოვნების მკვლევარს, ქალბატონ ნანა ღონღაძეს, რომელმაც ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმს ოთარ შიუკაშვილის ფერწერული ტილო: „ბროწეულები ლანგარზე“ გადასცა.**

„განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ცნობილ ქართველ ჟურნალისტს, სასცენო ხელოვნების მკვლევარს, ქალბატონ ნანა ღონღაძეს იმ გამორჩეული ძღვენისათვის, რომელიც ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმს გადასცა.

**ქალბატონმა ნანამ მუზეუმს უსახსოვრა ოთარ შიუკაშვილის ფერწერული ტილო: „ბროწეულები ლანგარზე“...**



**ოთარ შიუკაშვილი (1921-1995) ემიგრანტი მხატვარია, 1986 წლის დეკემბერში დიდმა ჟურნალმა „სამყარო და მე“ (ვაშინგტონი) თავისი ფურცლების დიდი ნაწილი დაუთმო ქართველი მხატვრის შემოქმედებას. ამავე დროს გაიმართა მისი პერსონალური გამოფენა, ხოლო 1987 წლის იანვარში გაიხსნა პერსონალური გამოფენა ტაივანში. ოთარ შიუკაშვილის მრავალი ნამუშევარი, ჯერ კიდევ ემიგრაციამდე, შეიძინა მოსკოვის, ლენინგრადისა და ვოლგოგრადის მუზეუმებმა. მხატვარი ძალიან პოპულარული გახდა ამერიკელ და ევროპელ კოლექციონერებში. მისი ნამუშევრები იყიდებოდა აუქციონებზე. გარდა კოლექციონერებისა, სურათებს დიდი ბანკები და ოფისებიც ყიდულობდნენ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით: დღემდე საქართველოში მხატვრის მხოლოდ ერთი ნახატი იყო დაცული. ეს არის მისი ქალიშვილის (პირველი ქორწინებიდან), ლალის პორტრეტი, რომელიც მან თბილისის მუზეუმს აჩუქა.**

**ქალბატონმა ნანა ღონღაძემ ასევე მუზეუმს უსახსოვრა აშშ-ში პარფიუმერული კომპანიის დამაარსებლის გიორგი მაჩაბლის მიერ გამოშვებული სუნამო „პრინცი მაჩაბელი“. შეგახსენებთ, რომ მაჩაბელმა მეგობრებთან ერთად 1926 წელს დააარსა ცნობილი პარფიუმერული კომპანია სახელწოდებით „Prince Matchabelli Perfume Company“.**

**ფირმის პირველი მუშები გიორგი მაჩაბლის მეგობრები იყვნენ, მასავით ლტოლვილი არისტოკრატები, მათი ცოლები და ქალიშვილები. სუნამოსთვის ფლაკონები თავდაპირველად გერმანული ფაიფურისგან მზადდებოდა, შემდეგ ჯორჯ კობის (გრიგოლ კობახიძე) მინის კომპანიაში დაამზადეს გამჭვირვალე მინის ფლაკონი, რომელიც ნახევრად ავტომატური მეთოდით კეთდებოდა, მაგრამ ოქროთი მოვარაყება, ორქოსფერი ზარნიშისა და ზონრის დამზადება ხელით ხდებოდა. სულ მალე გიორგი მაჩაბლის გვირგვინები მთელ ამერიკას მოედო. სწორედ ასეთი გვირგვინი გახდა ხელოვნების სასახლის კუთვნილება. მუზეუმის ადმინისტრაცია კიდევ ერთხელ უხდის მადლობას ქალბატონ ნანა ღონღაძეს ამ მამულიშვილური ქმედებისათვის“** – წერს **გიორგი კალანდია.**

## Ukraine Shows It Can Still Flip the Script on How Wars Are Waged

The attack demonstrated Ukraine's ability to use relatively cheap drones to take out expensive aircraft and to strike sites far from its borders.



President Volodymyr Zelensky of Ukraine said on Monday that Sunday's drone strikes, known as Operation Spider Web, had "seriously weakened" Russia's military operations. Emmanuele Contini/NurPhoto, via Getty Images

აშშ-ის გაზეთ **„ნიუ-იორკ თაიმსის" (The New York Times)** 3 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ვრცელი სტატია სათაურით **„უკრაინა აჩვენებს, რომ მას ჯერ კიდევ შეუძლია ომის სცენარის შეცვლა: კიევის დრონების შეტევამ ცხადყო, რომ იაფფასიან უპილოტო საფრენ აპარატებს ძვირადღირებული თვითმფრინავების განადგურება შეუძლიათ და თანაც უკრაინის საზღვრებიდან ძალიან შორს"** (ავტორები – ჰელენ კუპერი, ჯულიან ბარნსი, ერიკ შმიტი, ლარა ჯეიკსი და ადამ ენთოუსი). პუბლიკაციაში განხილული და გაანალიზებულია უკრაინის უშიშროების სამსახურის მიერ პირველ ივნისს განხორციელებული ოპერაცია, რომლის შედეგად რუსეთის სამხედრო ძლიერებას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. ავტორები ესაუბრებიან ექსპერტებს, რომლებიც პროგნოზებს აკეთებენ აშშ-ის და ნატოს ქვეყნების ბაზების დაცვის თაობაზე ახალი საფრთხეების გათვალისწინებით: „შეძლებს თუ არა დონალდ ტრამპი **„ოქროს გუმბათის" ანტირაკეტული დაცვის პროექტით აშშ-ის დაცვის უზრუნველყოფას არამარტო ბალისტიკური რაკეტებისგან, არამედ ჩვეულებრივი დრონებისგან?"**.

გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:

The New York Times

# უკრაინა აჩვენებს, რომ მას ჯერ კიდევ შეუძლია ომის სცენარის შეცვლა

**ამერიკელი ოფიციალური პირებისა და სამხედრო ანალიტიკოსების აზრით, უკრაინის მიერ რუსეთის ტერიტორიის სიღრმეში მდებარე აეროდრომებზე და თვითმფრინავებზე დრონებით განხორციელებული გაბედული შეტევებით კიევი აგრძელებს 21-ე საუკუნის ომების წარმოების მეთოდთა ცვლილებებს.**

როგორც ამერიკული და ევროპული უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენლები აცხადებენ, ჯერ კიდევ არ დასრულებულა იმ ზარალის სრული დეტალური სურათის შედგენა, რომელიც უკრაინამ რუსეთს მიაყენა, მაგრამ მათი შეფასებით, უკვე ნათელია, რომ შორი მოქმედების სტრატეგიული დანიშნულების ავიაციის დაახლოებით 20-მდე ერთეული (ბომბდამშენ-ბირთვულრაკეტმზიდი და რადარული თვითმფრინავები) განადგურებულია ან სერიოზულადაა დაზიანებული, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდა რუსეთის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობა, შორი მანძილიდან მიაყენოს დარტყმები მოწინააღმდეგეს.

ოფიციალური პირების თქმით, რუსეთის ავიაციის დანაკარგები შეადგენს 10 შორი მოქმედების სტრატეგიული დანიშნულების ბომბდამშენებს – ექვს ТУ-95-ს და ოთხ ТУ-22М-ს, აგრეთვე სამხედრო თვითმფრინავ-რადარს А-50-ს, რომელიც გამოიყენება ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებისა და მართვადი რაკეტების აღმოსაჩენად.

შემტევითმა ოპერაციამ, რომელიც ცნობილი გახდა კოდური სახელწოდებით „ობობას ქსელი" („აბლაბუდა"), ერთია, რომ რუსეთის სტრატეგიულ ძალებს დიდი ზიანი მიაყენა, მაგრამ მეორე და უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ უკრაინამ მოახდინა თავისი შესაძლებლობისა და უნარის დემონსტრაცია – დარტყმა მიაყენოს რუსეთის ნებისმიერ წერტილს და გაანადგუროს 100 მილიონ დოლარად შეფასებული სამხედრო თვითმფრინავები 500-დოლარიანი დრონებით.

როგორც აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა აღნიშნეს, უკრაინას დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია წინასწარ საქმის კურსში არ ჩააყენებია იმის შესახებ, რომ უკრაინის უშიშროების სამსახურმა დაგეგმა შეტევის განხორციელება, რომლის სამიზნეს რუსეთის ტერიტორიაზე, ღრმა ზურგში მდებარე რამდენიმე ავიაბაზა წარმოადგენდა, მათ შორის ერთი აღმოსავლეთ ციმბირში.

დარტყმის მისაყენებლად უკრაინამ თავისი აგენტები საზღვრიდან შორს, რუსეთის სხვადასხვა ოლქებში გაგზავნა (და გადაიბირა). მაგალითად, ავიაბაზა „ბელაია" ირკუტსკის ოლქში, ბაიკალის ტბასთან ახლოს არის დისლოცირებული და კიევიდან თითქმის 3 ათასი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. უკრაინის უშიშროების სამსახურის განცხადებით, უპილოტო საფრენი აპარატები (დრონები) კონტრაბანდული სახით ფარულად იქნენ შეტანილნი რუსეთის ტერიტორიაზე და ხისგან დამზადებულ კონტეინერებში იყვნენ შეფუთულები, მათი სახურავის გახსნა მოხდებოდა დისტანციურად, ადგილობრივ მობილურ კავშირთან მიერთებით. დრონები ჩაიტვირთა სატვირთო მანქანებში (ავტოტრაილერ-ფურებში) და დანიშნულების ადგილთან მაქსიმალურად ახლოს იქნა მიტანილი.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა უკრაინის მოქმედება ისრაელის მიერ გასულ წელს განხორციელებულ ოპერაციას შეადარა, როცა „მოსადმა" „ჰეზბოლას" მებრძოლებს ლიბანში კოდური სიგნალებით პეიჯერები აუფეთქა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა **ვოლოდიმირ ზელენსკიმ** ორშაბათს განაცხადა, რომ დრონების მეშვეობით მიყენებულმა დარტყმამ სერიოზულად დაასუსტა რუსეთის სამხედრო პოტენციალი და კრემლის მიერ წარმოებული საომარი ოპერაციები.

**„ოპერაცია „აბლაბუდამ" აჩვენა, თუ როგორ გამოიყურება რეალურად თანამედროვე ომი და რატომ არის მნიშვნელოვანი ერთი ნაბიჯით წინ ყოფნა ტექნოლოგიების განვითარებაში"**, – დაწერა მან სოციალურ ქსელში და აღნიშნა, რომ ოპერაცია წელიწადნახევრის განმავლობაში მზადდებოდა...

* * *

**ამასთან, როგორც აშშ-ის ოფიციალური პირები აცხადებენ, არც რუსეთი არ დარჩება ვალში და უკრაინას საპასუხო შურისმაძიებლური დარტყმით უპასუხებს, თუმცა ამერიკულ დაზვერვას ჯერჯერობით არ აქვს განსაზღვრული ის სამიზნეები, რომლებსაც რუსეთი დაარტყამს.**

როგორც ჩანს, კრემლი განაახლებს მნიშვნელოვანი სამოქალაქო ობიექტების დაბომბვას, მწყობრიდან გამოიყვანს ენერგოსისტემის ინფრასტრუქტურას ან გაუშვებს საშუალო მანძილზე მოქმედ ბალისტიკურ რაკეტებს უკრაინის ზურგის ობიექტების გასანადგურებლად.

მას შემდეგ, რაც რუსეთის არმია უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა 2022 წლის თებერვალში, უკრაინის შეიარაღებული ძალები მუდმივად აუმჯობესებენ მოძველებულ საბჭოურ და დასავლურ იარაღს და მათ მოდერნიზებას ახდენენ, თანამედროვე ტექნოლოგიების მიხედვით – მაგალითად, გადასატან სარაკეტო პორტატულ კომპლექსებს „ჯაველინებს", „სტინგერებს", „ჰარპუნის" ტიპის რაკეტებს, სწრაფმავალ საზღვაო კატერებს, სახმელეთო და საზღვაო დრონებს და ა.შ. ამ საქმეში ამერიკამ თავის დროზე უკრაინას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია და მილიონობით დოლარი დახარჯა ადგილობრივი საწარმოო სიმძლავრეების აღდგენაში, ასევე გადასცა კიევს თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიებიც.

**„მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ უკრაინამ სამხედრო მოქმედებები ახალ დონეზე აიყვანა"**, – ამბობს **ეველინ ფარკასი**, აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ყოფილი თანაშემწე რუსეთისა და უკრაინის საკითხებში, რომელიც დღეს მაკკეინის ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორად მუშაობს, – **„კიევი აჩვენებს, რომ ახლა თვითონ უკრაინელებს შეუძლიათ ოპერაციების დაგეგმვა და მათი წარმატებით განხორციელება"**.



ომის შემსწავლელი ამერიკული ინსტიტუტის ანალიტიკოსის ეკატერინე სტეპანენკოს თქმით, უკრაინის მიერ განხორციელებული დარტყმები მოწმობს, რომ რუსეთის არცერთი ადგილი უსაფრთხო არ არის და რომ კიევის ხელი მტერს ყველგან მისწვდება: **„უკრაინა ომის წარმოების ახალ ფორმებს და მეთოდებს აყალიბებს"**.

როგორც ერთ-ერთი ამერიკელი მაღალჩინოსანი სამხედრო მოსამსახურე აღნიშნავს, ჯერჯერობით ძალიან ადრეა უკრაინული ოპერაციის სრული ზეგავლენის შეფასება რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების ავიაციაზე – იმიტომ, რომ რუსები, ალბათ, შეძლებენ ზოგიერთი დაზიანებული თვითმფრინავის აღდგენას. **„დიახ, დრონებმა რუსეთის არმიას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს, მაგრამ საეჭვოა რუსეთმა უკრაინის ფრონტზე თავისი შემტევითი ოპერაციები შეასუსტოს"**, – ხაზი გაუსვა ჩინოვნიკმა.

ამერიკელი ოფიციალური პირების თქმით, ოპერაციის საიდუმლოდ შენახვა გასაკვირი არ არის იმდენად, რამდენადაც ინფორმაციის ნებისმიერი გაჟონვა მის წარმატებით რეალიზებას საფრთხეს შეუქმნიდა.

ნატოს წევრი ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ანონიმური წარმომადგენლის განცხადებით, უკრაინის მიერ განხორციელებულმა დარტყმებმა ბიძგი მისცა დისკუსიის დაწყებას – საჭიროა თუ არა მოკავშირეებმა გადახედონ თავიანთ უსაფრთხოებას ახალი მოწყვლადი ადგილების გამოსავლენად, რათა ისეთ მდგომარეობაში არ ჩავარდნენ, როგორშიც რუსეთი აღმოჩნდა.

**სემიუელ ბენდეტი**, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ანალიზის ცენტრის ექსპერტი რუსულ დრონებთან დაკავშირებულ საკითხებში, ამბობს: **„ჩვენ თანდათანობით ვაცნობიერებთ იმ საფრთხეს, რასაც უპილოტო საფრენი აპარატები უქმნიან აშშ-ის სამხედრო ბაზებს. როცა საქმე ეხება მსხვილ ავიაბაზებს, რომელთა ასაფრენ-დასაშვებ ზოლზე ბევრი თვითმფრინავი დგას, უკრაინის შეტევის გაკვეთილი გამოიხატება იმაში, რომ ასეთი დარტყმა პოტენციურად ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს. დღეისათვის უკვე ნაკლებად ვართ დარწმუნებულები, რომ ჩვენს ბაზებს კომპლექსური დაცვა აქვთ ახლო რადიუსის მქონე საფრთხეებისგან"**.

ჯეიმს პატონ-როჯერსი, დრონების წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტი კორნელის უნივერსიტეტიდან, ამბობს, რომ დასავლეთის ის სახელმწიფოები, რომლებთაც მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში აქვთ სამხედრო ბაზები, განსაკუთრებით მოწყვლადები ხდებიან, ვთქვათ, ახლო აღმოსავლეთში და აფრიკაში, სადაც მრავალრიცხოვანი ექსტრემისტული დაჯგუფებები მოქმედებენ. უკრაინის შეტევის გათვალისწინებით, მათი დაცვა სტანდარტული ზომებით პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. მსგავსი ინციდენტი მოხდა 2024 წელს, იორდანიაში, სადაც, სირიის საზღვართან ახლოს, უდაბნოში დისლოცირებულ ამერიკულ პოსტზე თავდასხმა განახორციელა ერაყელი ექსტრემისტების მიერ მართულმა დრონმა და რომლის შედეგად სამი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა.

**ზოგიერთი ამერიკელი ოფიციალური პირი აცხადებს, რომ უკრაინული დრონების შეტევის შედეგები აშშ-სათვის ერთგვარ საჩუქარს წარმოადგენს.**

პენტაგონის წარმომადგენლების თქმით, „ოქროს გუმბათის" პროექტი (ისრაელის „რკინის გუმბათის" მსგავსად) ახალი თაობის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემას წარმოადგენს, რომლის მიზანია, ქვეყანა დაიცვას ისეთი სხვადასხვა ტიპის ბალისტიკური, ჰიპერბგერითი და ფრთოსანი რაკეტების ზემოქმედებისაგან, რომლებიც აქვს აშშ-ის ზოგიერთ მოწინააღმდეგეს, მაგალითად, რუსეთს.

მაგრამ ანტირაკეტული ფარი ისეთი სახით, როგორითაც არის ჩაფიქრებული, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ალბათ, ვერ დაიცავს იმ ტიპის უპილოტო საფრენი აპარატებისაგან, რომლებსაც უკრაინა ქმნის და იყენებს.

**„უკრაინის შეტევები რუსეთის აეროდრომებზე აჩვენებს, რომ 175 მილიარდი დოლარი, რომლის დახარჯვას მისტერ ტრამპი პროექტის რეალიზების მიზნით აპირებს, რესურსების არამიზნობრივ ხარჯვას წარმოადგენს"**, – ამბობს **ალექსანდრე ვიდმანი**, უკრაინული წარმომავლობის მქონე აშშ-ის არმიის ყოფილი ოფიცერი, რომელიც 2019 წელს ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში მუშაობდა, – **„უკრაინის დაზვერვის მიერ წარმატებით განხორციელებული ოპერაცია რუსეთის სტრატეგიული ბომბდამშენების წინააღმდეგ იმაზე მიანიშნებს, რომ შეერთებული შტატები უნდა დაფიქრდეს, თუ როგორ უნდა დაიცვას საიმედოდ ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები არამარტო ბალისტიკური რაკეტებისგან, არამედ სრულიად ჩვეულებრივი დრონებისაგან"**.



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**



# ორბანის აზრით, უკრაინა გაუმაძღარი ყოფილა!

**უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა ღიად განაცხადა, რომ ცდილობს ყველაფერი გააკეთოს, რათა უკრაინის ევროკავშირში გაწევრებას ხელი შეუშალოს.**

ორბანის თქმით, ევროკავშირის გაფართოება კეთილშობილური იდეაა, მაგრამ არა უკრაინის გაწევრების შემთხვევაში.

**„ბრიუსელის ბიუროკრატიისთვის“ ეს მომგებიანი გარიგებაა წაგებული ომის პირობებში. უკრაინა შთანთქავს ყველა ევროს, ფორინტსა და ზლოტს, რომელიც აქამდე დავხარჯეთ ევროპული ოჯახების, ევროპელი ფერმერებისა და ევროპული ინდუსტრიის გაძლიერებაზე“,** – აღნიშნა უნგრეთის მთავრობის მეთაურმა.

მისი თქმით, ათ წელიწადში საკუთარი სინდისის, შვილიშვილებისა და ქვეყნის წინაშე პასუხს ვერ აგებს, თუ ახლა არ გააკეთებს ყველაფერს, რომ დაიცვას უნგრეთი და ევროკავშირი უკრაინის გაწევრების თაობაზე ბრიუსელის ოცნებისგან.

## ვლადიმერ პუტინი:

# კიევის დღევანდელ რეჟიმს საერთოდ არ სჭირდება მშვიდობა!

**კიევის დღევანდელ რეჟიმს საერთოდ არ სჭირდება მშვიდობა, მისთვის მშვიდობა, სავარაუდოდ, ძალაუფლების დაკარგვას ნიშნავს,** – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ქვეყნის მთავრობის წევრებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, კიევის ხელისუფლებას არ აქვს ელემენტარული პოლიტიკური კულტურა და საკუთარ თავს უფლებას აძლევს, პირდაპირ შეურაცხყოფა მიაყენოს მათ, ვისთანაც მოლაპარაკებას ცდილობს.

პუტინის თქმით, რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებების მეორე რაუნდის წინა დღეს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი ყველა დანაშაული მოლაპარაკების პროცესის ჩაშლისკენ იყო მიმართული.

პუტინის მტკიცებით, დარტყმა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განზრახ განხორციელდა. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, უკრაინას ცეცხლის შეწყვეტა შეიარაღების მისაღებად სურს.



**„რატომ უნდა წავახალისოთ ისინი სამხედრო მოქმედებებისგან შესვენების მიცემით, რაც რეჟიმის დასავლური იარაღით გასაძლიერებლად იქნება გამოყენებული, ძალადობრივი მობილიზაციისა და სხვა ტერორისტული აქტების მომზადების გაგრძელებისთვის, იმის მსგავსის, რომლებიც ბრიანსკისა და კურსკის რეგიონებში ჩატარდა“,** – განაცხადა **ვლადიმერ პუტინმა.**

**რუსული მედიის ინფორმაციით, პირველი ივნისის ღამეს ბრიანსკის ოლქის ვიგონიჩკის რაიონში საავტომობილო ხიდი ჩამოინგრა. მისი ნამსხვრევები კლიმოვი-მოსკოვის მარშრუტზე მის ქვეშ მოძრავ სამგზავრო მატარებელს დაეცა. ლოკომოტივი და ვაგონები ლიანდაგებიდან გადავიდა. შვიდი ადამიანი დაიღუპა და 100-ზე მეტი დაშავდა.**

ბრიანსკის ოლქის გუბერნატორმა **ალექსანდრე ბოგომაზმა** განაცხადა, რომ **ხიდი მატარებლის მოძრაობის დროს ააფეთქეს. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ცნობით, ბრიანსკისა და კურსკის ოლქებში რკინიგზის ინფრასტრუქტურის აფეთქებები გამომძიებლებმა ტერორისტულ თავდასხმებად შეაფასეს.**



# ეროვნული ბანკი ლარის საიუბილეო-საკოლექციო მონეტების რეალიზაციას იწყებს

**ლარის 30 წლის იუბილეს აღსანიშნავად, საქართველოს ეროვნული ბანკი 5 ლარის ნომინალის ოქროს, ვერცხლისა და სპილენძ-ნიკელის საკოლექციო მონეტების რეალიზაციას იწყებს.**

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ვერცხლის, ოქროს და სპილენძ-ნიკელის მონეტების გაყიდვა შემდეგი პირობებით მოხდება: **ვერცხლის მონეტის შეძენა შესაძლებელია 2025 წლის 4 ივნისიდან, ოქროს მონეტის – 5 ივნისიდან, სპილენძ-ნიკელის მონეტის შეძენა კი – 6 ივნისიდან.**

სალაროებში მონეტის შესაძენად მომხმარებელმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**www.tkt.ge** მეშვეობით მონეტის შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: **support@tkt.ge**, ტელ: 032 2 19 55 77.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, იმისათვის, რომ მონეტების შეძენა მაქსიმალურად ბევრმა დაინტერესებულმა პირმა შეძლოს, მათი გაყიდვის დაწყებიდან პირველი ხუთი დღის განმავლობაში თითოეული შემადგენლობის მონეტისთვის დაწესდება შეზღუდვა – ამ პერიოდში ერთ მომხმარებელს შეეძლება შეიძინოს არაუმეტეს:

**1 ცალი ოქროს მონეტა;**
**2 ცალი ვერცხლის მონეტა;**
**5 ცალი სპილენძ-ნიკელის მონეტა.**

**მონეტების დიზაინი ღია კონკურსის წესით შეირჩა და მათი დიზაინერები მარიამ და შორენა ჩაჩანიძეები არიან. მონეტები პოლონეთის ზარაფხანაში მოიჭრა – ოქროს მონეტა – 1500-იანი, ვერცხლის მონეტა – 5000-იანი და სპილენძ-ნიკელის მონეტა – 20000-იანი ტირაჟით.**

**ოქროს მონეტის სარეალიზაციო ფასია 2 500 ლარი;**
**ვერცხლის მონეტის სარეალიზაციო ფასია 130 ლარი;**
**სპილენძ-ნიკელის მონეტის სარეალიზაციო ფასია 30 ლარი.**

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გიორგი გველესიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გველესიანი (პ/ნ 60001101988), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905/ზესტაფონი, სოფელი შროშა, პირველი ქუჩის II ჩიხი N4

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ზესტაფონი, სოფელი შროშა, პირველი ქუჩის II ჩიხი N4 (საკადასტრო კოდი: 32.07.36.075)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 51266.95 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 5 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 19 ივნისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP109407225;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1094072

**6. მოვალე:** შპს „კომფორტი“ (ს/კ 400199405), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905;

გიორგი გველესიანი (პ/ნ 60001101988), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP109407225; ლოტის ნომერი: 1094072).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 19 ივნისის 12:00 საათამდე.

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ბადრი მჭედლიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბადრი მჭედლიშვილი (პ/ნ 20001062480), თელავი, სოფელი აკურა, მე-2 ქუჩა N18

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თელავი, სოფელი აკურა (საკადასტრო კოდი: 53.01.35.000.108)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12942.30 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 5 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 19 ივნისი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP109413125;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1094131

**6. მოვალე:** ბადრი მჭედლიშვილი (პ/ნ 20001062480), თელავი, სოფელი აკურა, მე-2 ქუჩა N18

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP109413125; ლოტის ნომერი: 1094131).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 19 ივნისის 12:00 საათამდე.

**საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რამაზ სვანაძემ რუმინეთთან ამხანაგური მატჩის (0:1) შემდეგ ისაუბრა.**

როგორც მან თქვა, გუნდს აგრესია და სისწრაფეები აკლდა, მაგრამ სპარინგში მთავარი მაინც სხვა საკითხები იყო:

**„მძიმე თამაში გამოვიდა. დავმარცხდით და ბუნებრივია, ამიტომ, კმაყოფილი არავინაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად მნიშვნელოვანი იყო ორი რამ: ყველა ფეხბურთელი გვენახა საქმეში და, პირველ რიგში, ტრავმები აგვერიდებინა თავიდან. განსაკუთრებით, ეს ბოლო სავარჯიშო დღის შემდეგ ძალიან გვაშფოთებდა.**

**ფეხბურთელთა ნაწილისთვის დიდი ხნის შემდეგ პირველი თამაში იყო. უმეტესობისთვის სეზონი 2-3 კვირის წინ დასრულდა და მინდა, ამით ავხსნა მათი მოქმედებები მოედანზე, რადგან გვაკლდა ის აგრესია და სისწრაფეები, რითაც ყოველთვის გამოვირჩეოდით. ერთი კვირა გვაქვს მოსამზადებლად ევროპის ჩემპიონატისთვის. დარწმუნებული ვარ, ბევრად კარგად იქნება მდგომარეობა, ვიდრე დღეს იყო.**

**საერთო ჯამში კარგი სპარინგი გამოვიდა, რადგან ძალიან ბევრი რამ მივიღეთ. აუცილებლად დაგვჭირდება, განსაკუთრებით, დაცვით ფაზაში მომატება და კონცენტრაცია, რადგან ბოლო მომენტში რამდენიმე ფეხბურთელი გამოგვაკლდა. არ არის მარტივი გადაწყობა. დრო ცოტაა, მაგრამ უნდა შევძლოთ, რომ პოლონეთთან მატჩს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ“**, – თქვა **სვანაძემ.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მეორედ გამოვა. პირველად 2023 წელს ითამაშა, როცა პორტუგალიასთან, ბელგიასა და ნიდერლანდებთან ძალიან რთულ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ისრაელთან პენალტების სერიაში განიცადა მარცხი.

ევროპის ჩემპიონატი 11-28 ივნისს სლოვაკეთში ჩატარდება. საქართველო 11 ივნისს პოლონეთს 14 ივნისს საფრანგეთსა და 17 ივნისს პორტუგალიას შეხვდება.

* * *

**„ემპოლიში“ საბა გოგლიჩიძის მომავალი ბუნდოვანია და დიდი შანსია, რომ საქართველოს ნაკრების მცველმა იტალიური გუნდი დატოვოს.**

სწორედ ამაზე წერს Pianetaempoli წერილში კონკრეტული კლუბები დასახელებული არაა, მაგრამ წერია, რომ იტალიიდან, პრემიერლიგიდან და ბუნდესლიგიდან არსებობს ინტერესი, ხოლო „ემპოლის“ საწყისი მოთხოვნა 8 მილიონი ევრო იქნება.

**„საბა გოგლიჩიძე სეზონის პირველი ნაწილის ერთ-ერთი სიურპრიზი იყო. შარშან ჩამოვიდა მცირე თანხის სანაცვლოდ, „ემპოლის“ ყოფილი ფეხბურთელის, ლევან მჭედლიძის შუამავლობით. თავიდან ქართველი მცველი პრიმავერაში ბირინდელისთან თამაშობდა, სანამ პირველი გუნდის სტაბილური წევრი გახდებოდა. ვალუკიევიჩის „ტორინოში“ გაყიდვის შემდეგ სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღეებში დ“ავერსამ ის ძირითად შემადგენლობაში დააყენა, როგორც მარჯვენა ცენტრალური მცველი სამკაციან დაცვაში ისმაილისა და ვიტისთან ერთად.**

**როგორც ბევრი სხვა თანაგუნდელის შემთხვევაში, საბას სათამაშო დონე მეორე წრეში დაეცა. არ ჰქონია ტრავმები, მაგრამ სატრანსფერო ჭორებმა მასზე უარყოფითი გავლენა იქონია. „რომას“ სურდა მისი გადაბირება, თუმცა, იანვრის სატრანსფერო ბაზრის ბოლო საათებში რომაელებმა უარი თქვეს. გოგლიჩიძესაც ჩავარდნა დაეწყო, რის გამოც ნაკლებად დადებითი მატჩები ჰქონდა. მხოლოდ სეზონის ბოლოს მოახერხა ნაწილობრივ კონდიციებში შესვლა, თუმცა ისეთი ბრწყინვალე ვეღარ იყო, როგორც სეზონის პირველ წრეში.**

**გოგლიჩიძეს „ემპოლისთან“ კონტრაქტი არ ეწურება და კლუბს მისი მომავლის დაგეგმვა ყოველგვარი წუხილის გარეშე შეუძლია, თუმცა, არსებობს განცდა, რომ ერთ-ერთია, ვინც „ემპოლის“ დატოვებს. შეთავაზებები ადრე თუ გვიან, მოვა, რადგან ბიჭი ნიჭიერია და მრავალი იტალიური თუ უცხოური კლუბის სამიზნე გახდა. საბას ყველგან ჰყავს თაყვანისმცემლები: ბუნდესლიგიდან პრემიერლიგამდე, ასევე იტალიაში, სადაც რამდენიმე გუნდს შეუძლია შეთავაზების გაკეთება. მისი ღირებულება დაახლოებით 8 მილიონია და სავარაუდოდ, სწორედ ამ საწყისი ფასიდან განიხილავს „ემპოლი“ ნებისმიერ შეთავაზებას“**, – წერს გამოცემა.

შეგახსენებთ, რომ საბა გოგლიჩიძემ სერია A-ს სეზონი 33 მატჩით და 1 საგოლე პასით დაასრულა. მან სამჯერ იტალიის თასზეც ითამაშა.

* * *

**ავტორიტეტულმა გამოცემა GOAL.COM-მა ოქროს ბურთის რეიტინგი განაახლა. ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ "„პარი სენ-ჟერმენის“ ქართველი ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია რეიტინგში მე-11 ადგილიდან მე-7-ზე გადავიდა.**

ოქროს ბურთის მოგების მთავარ კანდიდატად კვლავ უსმან დემბელე მიიჩნევა, მეორე ადგილზე ლამინ იამალია, ხოლო მესამე ადგილს რაფინია იკავებს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში პირველ ადგილზე იმყოფებოდა.

# საფეხბურთო მოზაიკა




გამოცემა ხვიჩა კვარაცხელიაზე შემდეგ რამეს წერს:

**„2024-2025 წლების სეზონში კვარაცხელიამ ჯამში 14 ბურთი გაიტანა და 11 საგოლე გადაცემა შესრულა, მოიგო სერია A, ლიგა 1, საფრანგეთის თასი და ჩემპიონთა ლიგა. კვარაცხელიას გოლებისა და შედეგიანი გადაცემის რიცხვი არ ემთხვევა მისი თამაშის დონეს ამ სეზონში, მაგრამ ქართველმა გარემარბმა ღირსეული წვლილი შეიტანა ორ ტრიუმფში, პსჟ-სა და ნაპოლისთვის, ხოლო ფრანგული გუნდისთვის საკვანძო როლი შეასრულა ჩემპიონთა ლიგის მოგების გზაზე.**

**ქართველმა გარემარბმა ევროტურნირზე არაერთი დასამახსოვრებელი მომენტი გვაჩუქა. განსაკუთრებულია მისი შესანიშნავი გოლი ასტონ ვილასთან მეოთხედფინალში, რითაც ოქროს ბურთის ხმის მიმცემთა ყურადღება მიიპყრო. კვარაცხელია ნომინანტებს შორის აუცილებლად მოხვდება,“** – წერს GOAL-ი.

შეგახსენებთ, რომ კვარაცხელია მეორე ფეხბურთელია, რომელმაც ერთ სეზონში ორ სხვადასხვა გუნდთან ერთად ჩემპიონატი მოიგო და ამასთან, ტრებლიც შეასრულა: კვარას იტალიის სერია A-ს ოქროს მედალი არ ერგო, მაგრამ ჩემპიონი მაინც გახდა, პსჟ-ს რიგებში კი, საფრანგეთის ჩემპიონი, საფრანგეთის თასისა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია, შესაბამისად, ტრებლიც შეასრულა.

* * *

**„პარი სენ-ჟერმენმა“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ინტერი“ 5:0 გაანადგურა და ისტორიაში პირველად მოახერხა სანუკვარი ტიტულის მოგება.**

ფრანგულმა კლუბმა მილანურ გუნდს მაგრად აჯობა და საოცარი თამაში აჩვენა. მიუნხენში გამართულმა ფინალმა საინტერესო სტატისტიკური ფაქტები დაუტოვა ისტორიას.

**ხვიჩა კვარაცხელია** პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში გოლი გაიტანა, ხოლო მეორე (კახა **კალაძის** შემდეგ), ვინც ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

პსჟ პირველი გუნდია, რომელმაც ჩემპიონთა თასის/ლიგის ფინალი ხუთბურთიანი სხვაობით მოიგო, ხოლო თავის მხრივ, „ინტერი“ პირველია, ვინც ასეთი სხვაობით დამარცხდა.

**ლუის ენრიკე** მე-6 მწვრთნელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა ორ სხვადასხვა გუნდთან ერთად მოიგო. ესპანელმა 2015 წელს „ბარსელონა“ და ახლა პსჟ გააჩემპიონა. მანამდე ეს მოახერხეს ჟოზე მოურინიომ, კარლო ანჩელოტიმ, ოტმარ ჰიტცფელდმა, პეპ გვარდიოლამ და იუპ ჰაინკესმა.

**ჩემპიონთა ლიგაზე** ფრანგულ-იტალიური ფინალი ისტორიაში მეორედ გაიმართა და ისევ ფრანგულმა გუნდმა მოიგო. დამთხვევაა ის, რომ 1993 წელს, „მარსელმაც“ მიუნხენში იჩემპიონა „მილანის“ წინააღმდეგ.

**„ტოტენჰემს“** უეფას თასი/ევროპა ლიგა სამჯერ აქვს მოგებული – 1972, 1984 და 2025 წლებში. საინტერესო დამთხვევაა, რომ ხსენებულ წლებში სხვა ტურნირზე, ჩემპიონთა თასის/ლიგის ფინალი იტალიურმა გუნდმა წააგო (ინტერი, რომა, ინტერი).

**სიმონე ინძაგი** მე-9 მწვრთნელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე მინიმუმ ორი ფინალი წააგო. ის შეუერთდა მარჩელო ლიპის (1 მოგება, 3 წაგება), იურგენ კლოპს (1 მოგება, 2 წაგება), მასიმილიანო ალეგრის (2 წაგება), ექტორ კუპერს (2 წაგება), ალექს ფერგიუსონს (2 მოგება, 2 წაგება), ფაბიო კაპელოს (1 მოგება, 2 წაგება), ლუის ვან გაალს (1 მოგება, 2 წაგება) და დიეგო სიმეონეს (2 წაგება).

**მიუნხენში** ჩემპიონთა თასის/ლიგის ფინალს ყოველთვის ის გუნდი იგებს, რომელსაც ეს თასი არასდროს ჰქონდა მოგებული. „ნოტინგემმა“, „მარსელმა“, „დორტმუნდმა“, „ჩელსიმ“ და ახლა პსჟ-მ ჩემპიონთა თასი/ლიგა ისტორიაში პირველად მიუნხენურ ფინალში მოიგეს. სხვა შემთხვევაში მიუნხენში ფინალი არც გამართულა.

**„ინტერი“** პირველი გუნდია 1962 წლის შემდეგ, რომელმაც ამ ტურნირის ფინალში 5 გოლი გაუშვა. მანამდე ეს „რეალს“ დაემართა, რომელიც 63 წლის წინ „ბენფიკასთან“ 3:5 დამარცხდა.

**ფრანგულ** კლუბებს ჩემპიონთა თასის/ლიგის ფინალში ჯამში აქამდე 4 გოლი ჰქონდათ გატანილი (3 – რეიმსს, 1 – მარსელს), ხოლო პსჟ-მ მხოლოდ ამ ფინალში გაიტანა უფრო მეტი გოლი (5).

**დეზირე დუე** პირველია, ვინც ჩემპიონთა ლიგის ფინალში სამ გოლში უშუალოდ მონაწილეობდა – ორი გოლი და ასისტი. ის მე-6 ფეხბურთელია, ვინც ფინალში გოლიც გაიტანა და პასიც გააკეთა, მაგრამ ყველაზე ახალგაზრდაა, მათ შორის, ვინც ეს მოახერხა.

**ფრანგული** კლუბის მაისურით ისტორიაში არცერთ ფეხბურთელს აქამდე ერთ სეზონში 14 გოლში არ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. პირველმა ეს უსმან დემბელემ შეძლო - 8 გოლი, 6 ასისტი.

**პსჟ-მ** „ინტერთან“ საწყის 20 წუთში ორი გოლი გაიტანა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ერთმა გუნდმა საწყის 20 წუთში ორჯერ გაიტანა.

**„ინტერმა“** ჩემპიონთა თასის/ლიგის ფინალი ისტორიაში მეოთხედ წააგო და ოთხივე შემთხვევაში მის წინააღმდეგ გამარჯვებულმა გუნდმა თავის ისტორიაში პირველად შეასრულა ტრებლი: „სელტიკი“ (1967), „აიაქსი“ (1972), „მანჩესტერ სიტი“ (2023) და „პარი სენ-ჟერმენი“ (2025).

* * *

**„სენტ ეტიენის“ ფეხბურთელის ზურიკო დავითაშვილის გატანილი ბურთი ლიგა 1-ში 2024-2025 წლების სეზონის საუკეთესო გოლად დასახელდა.**

გამოკითხვაში 8 ნომინანტი იყო, მათ შორის, ზურიკოს გარდა, ხვიჩა კვარაცხელიას და გიორგი მიქაუტაძის გოლები.

ზურიკომ ეს გოლი მეცხრე ტურში „ოსერს“ გაუტანა. იმ თამაშში ქართველმა ჰეთ-თრიქი შეასრულა, ეს კი, მეორე გოლი იყო მეტოქის კარში. ხვიჩას, ზურიკოს და გიორგის გარდა, ნომინანტებში იყვნენ ჯონათან როუ, დეზირე დუე, ჟოაო ნევეში, ამინ გუირი და ანას ზარუჰი.

# რაგბი გორშია!

**„ავჭალა არენაზე“ „გორი“ – „წიქარას“ ფინალური შეხვედრა ლიგის გამარჯვებულსა და დიდი 10-ის საგზურის მფლობელს არკვევდა. შიდაქართლელებმა რეგულარულ სეზონში დამაჯერებლად იპირველეს, მესამე ადგილზე გასულ „წიქარას“ 17 საცხრილო ქულით გაუსწრეს და თან რეგულარული სეზონის ორივე მატჩში მეტოქე უშანსოდ დატოვეს (55:21 და 51:7). ამის მიუხედავად, უაღრესად დაძაბული ფინალური შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, რომლის გამარჯვებული „გაწითლებულ“ დროში გაირკვა – 26:22.**




რაგბის კლუბ „გორის“ სახით ქართული რაგბის ელიტას რეალურად ახალი წარმომადგენელი ჰყავს. მართალია, წლების წინ პირველი ლიგიდან გავარდნილი გორის „ჯიქების“ მორაგბეებმა კერძო კლუბ „გორში“ გადაინაცვლეს, თუმცა **მიხეილ ორაგველიძის** თაოსნობით საფუძველი სრულიად ახალ კერძო კლუბს ჩაეყარა, რომელიც დამოუკიდებლად 2022 წლიდან ფუნქციონირებს და აღნიშნული პერიოდიდან გუნდს ნიჭიერი 35 წლის სპეციალისტი **გიორგი ჭინჭარაული** უნარიანად დამრიგებლობს, მიხეილ ორაგველიძე კი ამჟამად შერკინების მწვრთნელის ფუნქციას ასრულებს. სწორედ ხსენებული დუეტის ნაყოფიერი და თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად „გორი“ სწრაფი ტემპებით პროგრესირებს.

ჭინჭარაული და ორაგველიძე რწმუნებით აღნიშნავენ, რომ შიდა ქართლის დედაქალაქში დიდი რაგბის დაბრუნება რეგიონში არსებული მდიდარი ცოცხალი რესურსის მაქსიმალურ მობილიზებასა და ჩართულობას გამოიწვევს. „გორს“ ამჟამად დიდ სამსახურს გორის მუნიციპალიტეტის მერია უწევს და გუნდის ხელნმძღვანელობა იმედოვნებს რომ დიდ 10-ში აღზევების შემდეგ „გორს“ მხარში ადგილობრივი ბიზნეს-სექტორიც აქტიურად ამოუდგება.

მარცხის მიუხედავად, „წიქარა“ ელიტაში ანაცვლების შანსს ინარჩუნებს. **ბექა სხულუხიას** ბიჭები 2-მატჩა პლეი აუტში დიდი 10-ის ბოლოსწინა, მე-9 ადგილოსან სამცხე-ჯავახეთის „ტაოს“ დაუპირისპირდებიან. დებულების თანახმად მეტოქეთა პირველი რკენა დედაქალაქში გაიმართება, საპასუხო მატჩი კი ასპინძაში შედგება, სადაც მომავალ სეზონში დიდი 10-ის დასკვნითი ბინადრის ვინაობა გახდება ცნობილი.

# რჩეულთა კვარტეტში

**„ტენერიფე“ ესპანეთის ლიგა ენდესას ნახევარფინალში გავიდა. მეოთხედფინალური სერია გიორგი შერმადინის გუნდმა 2:0 მოიგო.**

„ტენერიფემ“ „ჟუვენტუტ ბადალონა“ სტუმრადაც ადვილად – 80:60 დაამარცხა.

შერმადინმა 27 წუთში 13 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 8-დან 6 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

„ტენერიფე“ ნახევარფინალში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქე მოგვიანებით გაირკვევა.

# ნელ-ნელა ვსწავლობთ

**ბეისბოლში საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი დასრულდა. ემზარ სალუქვაძის სახელობის სპორტულ არენაზე. გამართულ შეჯიბრებაში 15 წლამდე ასაკის მოზარდებისგან შემდგარი, ოთხი გუნდი მონაწილეობდა. ფინალურ შეხვედრაში „თბილისის მგლებმა“ „თბილისის ზღვის“ გუნდი 12:5 დაამარცხა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.**

ბეისბოლის ფედერაციის პრეზიდენტის **ვახტანგ ნორაკიძის** განცხადებით, ფედერაციის მიზანია, სპორტის ეს სახეობა საქართველოში კიდევ უფრო პოპულარული გახდეს და მომდევნო ტურნირებზე მეტმა გუნდმა იასპარეზოს. მისი თქმით, ჩემპიონატის გამორჩეულ სპორტსმენთაგან დაკომპლექტდება ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც საერთაშორისო ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას.



# სულთმოფენობის შემდგომი დღესასწაული სულიწმინდის ორშაბათი



**8 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ იზეიმა საუფლო – სულთმოფენობის დღესასწაული.**

სულიწმინდის ორშაბათი კი განსაკუთრებული მნიშვნელობის დღეა!

...იესო ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოციქულებზე სულიწმინდის მადლი ცეცხლოვანი ენების სახით გადმოვიდა, რადგან ცეცხლს თბობის, წვის და ნათების თვისება აქვს, ასევე მოციქულებმაც წმინდა სულით აღვსილებმა, თავიანთი ნათელით გაანათეს ქვეყნიერებაზე არსებული ურწმუნოების, უგუნურობის და უღმერთოების წყვდიადი.

სულთმოფენობის დღესასწაული ქრისტეს დაბადების დღეა!

ქრისტიანობა სულიწმინდის მადლითა და მისი მოპოვებით განისაზღვრება. ამ დღესასწაულზე ეკლესია-ტაძრები მშვენიერი ყვავილებით იმოსება; **ყვავილი ხომ ღვთის საოცარი ქმნილებაა, რომელიც თავისი უბრალოებითა და კეთილსურნელებით გამოირჩევა.** ეკლესია-ტაძრებში ყვავილთა და ბალახეულთა მოფენით მადლის გადმოსვლა ხდება.

წესისამებრ, წირვის დასრულებისას მუხლმოდრეკის ლოცვები იკითხება.

**გიული ლიპარტია**

## მოკლულის მანქანა კვალის დაფარვის მიზნით მდინარეში გადააგდეს...

**ხელვაჩაურში, სოფელ აჭარისწყალთან ახალგაზრდა კაცი მოკლეს. არსებული ინფორმაციით, შემთხვევა გვიან ღამით მოხდა.**

**ადგილობრივთა თქმით, გარდაცვლილი მდინარეზე გასასეირნებელ კატერს აქირავებდა. მათივე განმარტებით, გვიან ღამით სროლის ხმა გაიგონეს.**



„აჭარის მაუწყებლის" ინფორმაციით, მოკლულის მანქანა სავარაუდოდ, კვალის დაფარვის მიზნით მდინარეში გადააგდეს. გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილს ნატყვიარებიც აღენიშნება. „პრაიმტაიმს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებას გულისხმობს.

## ალბი კორძაიას 10-დღიანი პატიმრობა შეეფარდა

**პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის, თეა წულუკიანის შეურაცხყოფისათვის ალბი კორძაიას 10-დღიანი პატიმრობა შეეფარდა.**

აქტივისტი სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო.

## ნარკოდანაშაულის ბრალდებით 8 პირი დააკავეს!

**პოლიციამ თბილისში ნარკოდანაშაულის ბრალდებით 8 პირი დააკავა, – ინფორმაციას შსს ავრცელებს.**

უწყების ცნობით, დანაშაულები 20-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოსა და დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს, დიდუბე-ჩუღურეთის, გლდანი-ნაძალადევისა და ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნარკოდანაშაულის ბრალდებით 8 პირი დააკავეს.**

**დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალების და ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის" უკანონო შეძენა-შენახვის, გასაღების, გასაღების მცდელობის და გასაღების მომზადების ბრალდებით, 2002 წელს დაბადებული ლ.ჭ., 1975 წელს დაბადებული ი.დ., წარსულში ნასამართლევი პირები, 1989 წელს დაბადებული შ.ჯ., 2006 წელს დაბადებული გ.კ., 1983 წელს დაბადებული ე.ა. და უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1997 წელს დაბადებული მ.ა., 2001 წელს დაბადებული ე.დ., 1999 წელს დაბადებული მ.ფ. დააკავეს. დანაშაულები 20-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

პოლიციამ მოსამართლის განჩინების საფუძველზე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად და ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, მათ მიერ მითითებული ლოკაციებიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ განთავსებული

ნარკოტიკული საშუალებები „ჰეროინი" ,,ალფა-პვპ" „გამომშრალი მარიხუანა" და „მეთადონი".

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციის მიერ, ასევე ამოღებულია ნარკოტიკული საშუალების დაფასოებისთვის საჭირო მასალები, ელექტროსასწორი, პოლიეთილენის ჩამკეტიანი პარკები და ფული.

## ბათუმში თურქი ნარკორეალიზატორი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1991 წელს დაბადებული ს.ბ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს.**

მას ბრალად ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „კოკაინის", ასევე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის" უკანონო შეძენა-შენახვა. დანაშაულები 20-წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბათუმში, ბრალდებულის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი", ასევე, ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანა" ნივთმტკიცებად ამოიღეს.

## მარნეულში დაჭრის ფაქტზე ორი პირი დააკავეს

**მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მარნეულში მომხდარ დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით ორი პირი – 2003 წელს დაბადებული ე.მ. და 2005 წელს დაბადებული რ. გ. დააკავეს.**

ორივეს ბრალად ედებათ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება. დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ე. მ.-მ მიმდინარე წლის 4 ივნისს, მარნეულში წარსულში მომხდარი კონფლიქტის ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას 1998 წელს დაბადებულ ვ. გ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჭრილობები მიაყენა, რის შემდეგაც რ. გ.-სთან ერთად მიმალვას შეეცადა, თუმცა ორივე მათგანი პოლიციამ დააკავა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოშია მოთავსებული, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება.

**სანთელი**

## ნუგზარ კვაშილავა – პროფესიული საქმისა და ადამიანობის მაგალითი



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ჩვენი საზოგადოება გამოეთხოვა საუკეთესო მეცნიერს, კოლეგასა და ღირსეულ ქართველ სპეციალისტს, ბატონ ნუგზარ კვაშილავას – ინსტიტუტის ინოვაციური განვითარების ჯგუფის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.**

**ბატონმა ნუგზარმა მთელი თავისი ნახევარსაუკუნოვანი პროფესიული ცხოვრება მიუძღვნა ჰიდრავლიკის, საინჟინრო ჰიდროლოგიისა და წყალთა მეურნეობის სფეროს განვითარებას საქართველოში.**

**1975 წელს მან დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა მათემატიკოსის კვალიფიკაცია. შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვში, სადაც 1977-1979 წლებში იყო ასპირანტი ჰიდრავლიკის კათედრაზე მოსკოვის ჰიდრომელიორაციულ ინსტიტუტში; 1986 წლის 11 ივნისს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ჰიდრავლიკისა და საინჟინრო ჰიდროლოგიის დარგში.**

**ბატონი ნუგზარი იყო უაღრესად პატივსაცემი მეცნიერი და კოლეგა – მისი აზრი ყოველთვის ღირებული იყო პროფესიულ წრეებში. იგი გამოირჩეოდა სიღრმისეული ანალიზით, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებითა და უმაღლესი პასუხისმგებლობის გრძნობით.**

**1975-1977 წლებში იგი მუშაობდა ინჟინრად საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ამჟამინდელ სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში);**

**1980 წელს – ინჟინრად ტექნიკურ-ეკონომიკური და მათემატიკური კვლევების განყოფილებაში;**

**1981 წელს – უფროს ინჟინრად ს. ი. ჟუკის სახელობის ჰიდროპროექტის ინსტიტუტში;**

**1982-1988 წლებში კი იმავე ინსტიტუტში იყო სამთო მელიორაციის განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი.**

**1988-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიურ პუნქტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.**

**2015 წლიდან დღემდე იგი მუშაობდა თავის მშობლიურ ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.**

**დიდია მისი წვლილი ქართული ჰიდროტექნიკისა და ეკოლოგიური ინჟინერიის განვითარებაში. ბატონი ნუგზარ კვაშილავას ხსოვნა და ღვაწლი არასდროს წაიშლება – იგი დარჩება, როგორც პროფესიული საქმისა და ადამიანობის მაგალითი.**

**ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებსა და ყველა ადამიანს, ვისაც მასთან თანამშრომლობის პატივი ჰქონდა.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი**

## კიოლნში აღმოაჩინეს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ბომბები

**კიოლნში აღმოჩენილი მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ბომბების გამო, ქალაქიდან 20 000 ადამიანი ევაკუირებულია,** – ამის შესახებ **„დოიჩე ველე"** წერს.

**გერმანიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ კიოლნში, მეორე მსოფლიო ომის დროინდელი სამი ბომბი აღმოაჩინეს.**

ორი ერთ ტონას იწონიდა, ერთი კი, ნახევარ ტონას. ბომბების განეიტრალების ოპერაცია ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია. სახიფათო ზონიდან ევაკუირებულია 58 სასტუმროს, მერიის, სარკინიგზო სადგურის, მუზეუმების, სკოლების, ერთი საავადმყოფოს და ორი მოხუცებულთა თავშესაფარის პერსონალი და ბინადრები.

**„ევაკუაცია არის ყველაზე მასშტაბური ღონისძიება მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ყველა ჩართული მხარე იმედოვნებს, რომ განეიტრალება დღის განმავლობაში დასრულდება", – აღნიშნულია კიოლნის მერიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.**



# რაინდის „იმედი“



**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, რუსთაველის ეროვნულ თეატრში თბილისის ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „იმედის“, 40 წლის აღსანიშნავი საიუბილეო კონცერტი გაიმართა.**

საღამო, რომელსაც თეატრმცოდნე **ნიკოლოზ წულუკიძე** უძღვებოდა, ანსამბლის პედაგოგ-ქორეოგრაფებს, – **ნუნუ ღვინერიასა** და **ჯემალ რეხვიაშვილს** მიეძღვნა.

ჯემალ რეხვიაშვილს საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარემ კახაბერ მარკოიშვილმა ქართული ქორეოგრაფიის რაინდის წოდება მიანიჭა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ეროვნული სასახლის დირექტორმა **ნინა ყიფიანმა** და საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა **თათა სვანიძემ,** რომლებმაც ანსამბლს წარმატებით ჩატარებული საღამო მიულოცეს და აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა უსურვეს. ჯემალ რეხვიაშვილმა საქართველოს კულტურის მინისტრს **თინათინ რუხაძეს** მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.





# „რუსთავის“ რენესანსი

**ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავმა“ რეპეტიციები განაახლა.**

ანსამბლის გაერთიანებულ რეპეტიციას საქართველოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე** მინისტრის მოადგილე **გიორგი მირცხულავასთან** ერთად დაესწრო, აგრეთვე ანსამბლის ხელმძღვანელებს და შემოქმედებით კოლექტივს შეხვდა.

შეხვედრაზე თინათინ რუხაძემ ანსამბლს ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობა უსურვა.

**„ხელოვნებაში არსებობს აღმავლობა და კრიზისი ისევე, როგორც ყველა სხვა სფეროში. მოხარული ვარ, რომ ანსამბლმა გარკვეული სირთულეების გადალახვის შემდეგ, მოიკრიბა ძალა და როგორც ბატონი ანზორ ერქომაიშვილი და ბატონი ფრიდონ სულაბერიძე იმსახურებენ, ისეთ ფორმაში არიან დღეს. მოხარული ვარ, რომ დაიწყო საგასტროლო ტურნეები, ნელ-ნელა ფორმაში შედიხართ როგორც ცეკვის, ისე სიმღერის ნაწილში. ანსამბლში სამი დასია – ცეკვის, სიმღერის და მუსიკოსთა, მინდა ყველას მადლობა გადავუხადო რომ ღირსეულად, თავაწეულად ატარებენ ბატონი ანზორ ერქომაიშვილის სახელს. ამ ანსამბლთან აუცილებლად ბოლომდე იქნება დაკავშირებული ბატონი ფრიდონ სულაბერიძის სახელი. დიდხანს სიცოცხლე მას!**

**ეს დასი თავაწეულად ატარებს სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ სახელს. მადლობა ყველას, ვინც დღეს დგას და მუხლჩაუხრელად შრომობს იმისთვის, რომ ანსამბლი მაღალპროფესიულ დონეზე იყოს წარმოჩენილი“,** – განაცხადა კულტურის მინისტრმა **თინათინ რუხაძემ.**

ბოლო პერიოდში ანსამბლში შექმნილმა კრიზისმა ნეგატიური გავლენა იქონია შემოქმედებით პროცესზე. კრიზისის დაძლევის მიზნით დაწყებულია რეორგანიზაციის პროცესი, რაც შესაძლებელს გახდის ანსამბლის საქმიანობის ეფექტურად ორგანიზებას, პროფესიული სტანდარტების ამაღლებას და სახელმწიფო ინსტიტუციის ფუნქციებთან შესაბამისი მუშაობის გაძლიერებას.

# ტონინო გუერას „თბილი წვიმის“ წარდგენა გაიმართა



**4 ივნისს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში პროექტ „მწვანე საღამოების“ ფარგლებში ტონინო გუერას ნაწარმოების – „თბილი წვიმა“ – ქართული თარგმანის წარდგენა გაიმართა. მთარგმნელი – ქეთევან ტომარაძე.**

როგორც ტონინო გუერა წერს, რომანს „ვუძღვნი ჩემს ქართველ მეგობრებს და მათ ტურფა ქვეყანას“.

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, „მწვანე საღამოების“ ფარგლებში დაგეგმილი იყო კიდევ ორი ღონისძიება:

**4 ივნისს ეროვნული ბიბლიოთეკის კინოდარბაზში მიხეილ მრევლიშვილის დოკუმენტური ფილმის – „სიხარულის ოდა“ – ჩვენება გაიმართა, 5 ივნისს კი – გია მატარაძის დოკუმენტური ფილმის – „შვიდი პატარა მოთხრობა პირველ სიყვარულზე“ – ჩვენება.**





# აჭარაში სახალხო დღესასწაული „სელიმობა“ იზეიმეს

**საქართველოს ერთიანობისთვის თავგანწირული მამულიშვილის სელიმ ხიმშიაშვილის სახელის უკვდავსაყოფად, შუახევში სახალხო დღესასწაული „სელიმობა“ გაიმართა.**



პიარსამსახურის ცნობით, სულხან თამაზაშვილმა ადგილობრივებს სახალხო დღესასწაული მიულოცა და საზეიმო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

დღესასწაულის ფარგლებში, სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის მუზეუმსა და საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი იყო ეთნოგრაფიული ნამუშევრები. მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა. აქტიური საზოგადოებრივი, შემოქმედებითი და მეცნიერული საქმიანობისათვის, სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის მუნიციპალური პრემიით მოქალაქეები დაჯილდოვდნენ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის მთავრობის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, სასულიერო პირები და საზოგადოების წევრები.

**სახალხო დღესასწაული „სელიმობა“ სელიმ ხიმშიაშვილის დაბადებიდან 250 წლისთავის აღსანიშნად დაფუძნდა, პირველი „სელიმობა“ კი 2006 წლის 3 ივნისს ჩატარდა.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 9 ივნისს**